პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ქომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 17 ოქტომბერი, 1943 წ. № 217 (6842). ფასი 20 კაპ.

ფართოდ გავაჩაღოთ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

მოახლოვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი XXVI წლისთავის ისტორიული დღე. საბჭოთა ხალხი სამამულო ომის ვითარებაში მე-ორედ აღნიშნავს დიდი ოქტომბრის დღეებს და, თავისი გმირული ტრადიციების ერთგული, ახალ-ახალ საჩუქრებს უმზადებს სამშობლოს. წითელი არმიის წარმატებითი შეტევით აღფრთოვანებულმა ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს წინასაოქტომბრო შეჯიბრება. მათ ახალი ვალდებულებები იკისრეს ფრონტისადმი დახმარების კიდევ უფრო გასაძლიერებლად. უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის დიდი **სტალინის** ისტორიული ბრძანებები საბჭოთა ადამიანებს ახალ ძალებს ჰმატებენ გმირულ შრომასა და ბრძოლაში.

შეჯიბრებამ ერთნაირი ძალით მოიცვა მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოები, შახტები და მაღაროები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები. შეჯიბრებაში ფრონტისადმი პატრიოტული ვალის ღრმა შეგნებით ჩაებნენ მუშა-მოსამსახურეები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია. ისინი აღფრთოვანებული არიან იმით, რომ ზურგში სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობით ეხმარებიან ფრონტზე წითელი არმიის გმირულ შეტევას, რითაც ახლოებენ გერმანელ ფაშისტ ავაზაკებზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების სასიხარულო ჟამს.

თბილისის მთელი რიგი საწარმოები, რომლებიც წინასაოქტომბრო შეჯიბრების დროშით ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად იბრძვიან, კიდევ უფრო ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას, ადიდებენ პროდუქციის გამოშვებას, აუმჯობესებენ მის ხარისხს. თბილისის საელმავლო დეპოს ლუნინელმა შემანქანემ ამხ. პატარაიამ 11 ოქტომბერს თავისი შესანიშნავი პატრიოტული რეისი დიდი ოქტომბრის სახელოვან XXVI წლისთავს მიუძღვნა. 2.000 წყვილი ფეხსაცმლის გეგმის გადამეტებით გამოშვება იკისრა **ლ. ბ. ბერიას** სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმა. ტყიბულის მაღაროების ქვანახშირის მნგრეველმა ლესინსკიმ შეჯიბრებაში იკისრა და ყოველდღიურად ცვლაში 4-5 ნორმას იძლევა. გეგმას 250 პროცენტით ასრულებს ამხ. ა. ცნობაძე. ცვლაში 30-35 ტონა მარგანეცს ანგრევენ ჭიათურელი მაღაროელები ამხ. მიროტაძე, თაბაგარი, გაფრინდაშვილი და სხვ., რომლებიც წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი.

მრეწველობაში ამ თვალსაჩინო აღმავლობასთან ერთად საკოლმეურნეო მინდვრებზე გაშლილია შეჯიბრება ფრონტისა და ჩვენი ქვეყნისათვის მეტი პურის, ხორცის, ნედლეულის დასამზადებლად.

ამ დღეებში პატრიოტული ინიციატივით გამოვიდნენ აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის აღმა-ი რაიონის კოლმეურნეები, რომლებმაც მოწოდებით მიმართეს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კოლმეურნეებს — ფართოდ გააჩაღონ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება შემტევი წითელი არმიის დასახმარებლად. ამ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურნენ და ერთსულოვნად დაუჭირეს მზარი საქართველოს კოლმეურნეებმა. აღდამელთა მოწოდების პასუხად გორის რაიონის სოფელ კარალეთის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ იკისრა 25 ოქტომბრისათვის ძირითადად შეასრულოს ყველა სახის დამზადებათა გეგმები, დაამთავროს საშემოდგომო თესვა, 25 ნოემბრისათვის—მზრალად ხვნა, უზრუნველყოს შაქრის ჭარხლის ამოღება და გადაზიდვა 1 ნოემბრისათვის. ამ ვალდებულებებს კარალეთელები წარმატებით ასრულებენ. მახარაძის რაიონმა ვადაზე ადრე 9 ოქტომბრისათვის შეასრულა ჩაის კრეფის 1943 წლის გეგმა. მარტო ბათუმის რაიონმა 10 ოქტომბრისათვის მოჭკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 2.230.382 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ასეთია სოციალისტური შეჯიბრების დიადი ძალა!

შეჯიბრებამ დაიწინაურა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის კომკავშირელი მნგრეველი ვასილ ბურლაკი, რომელმაც 29 სექტემბერს 8,5 ტონის ნაცვლად ცვლაში 107 ტონა ქვანახშირი მოანგრია და გეგმა შეასრულა 1.317 პროცენტით. ახალგაზრდა პატრიოტმა ეს ბრწყინვალე გამარჯვება თავის აღმზრდელ **ლენინურ-სტალინურ** კომკავშირს, მის სახელოვან XXV წლისთავს მიუძღვნა.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ წინასაოქტომბრო შეჯიბრება, ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღვნიშნოთ დიდი ოქტომბრის დღეები.

საწარმოების მომზადება ზამთრისათვის, სათბობისა და ნედლეულის მომარაგება ისე, რომ ზამთარში მრეწველობის ყველა დარგმა, თითოეულმა დაზგამ სრული წარმატებით იმუშაოს,—უაღრესად სერიოზული და საპასუხისმგებლო ამოცანაა. ეს ერთნაირად ეხება როგორც მსუბუქი მრეწველობის მუშაკებს, ისე მეტალურგებსა და ენერგეტიკოსებს, ჩვენს სახელოვან ტრანსპორტელებს.

მოსავლის უდანაკარგოდ აღება, სახელმწიფო ვალდებულებათა პირნათლად შესრულება, საშემოდგომო ხვნა-თესვის ტემპების გაძლიერება, მზრალად ხვნის გეგმების წარმატებით შესრულება, რაც 1944 წელს უხვი მოსავლის მიღების ერთ-ერთი მძლავრი პირობაა, საქონლის გამოზამთრებისათვის სანიმუშო მზადება — სოფლის მეურნეობის მუშაკებისაგან მოითხოვს ფრონტულ მუშაობას. და რაც უფრო წარმატებით შეასრულებენ ისინი ამ საბრძოლო ამოცანებს, მით უფრო მეტ დახმარებას გაუწევენ ფრონტს ვერაგი მტრის განადგურებაში.

მაშ უფრო მძლავრად ავაზვირთოთ წინასაოქტომბრო შეჯიბრება, ახალი წარმატებებით შეეხვედთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავს! ეს იქნება მზარდი დახმარება მშობლიური, გმირი წითელი არმიისადმი, რომელიც დიდი **სტალინის** ბრძნული მხედართმთავრობით ძლევამოსილად მიიწევს წინ, დასავლეთისაკენ, ანადგურებს ჰიტლერელ ავაზაკებს და გვიახლოვებს მტერზე ჩვენი სრული გამარჯვების სასიხარულო ჟამს!

კიევის ჩრდილოეთით და სამხრეთით

მოქმედი არმია, 15 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორ.). გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან სასტიკ ბრძოლებში საბჭოთა ჯარები წინ მიიწევენ და პოზიციებს იუმჯობესებენ მარჯვენა ნაპირზე. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს და თვითმფრინავთა მფარველობით კონტრიერიშებზე გადმოჰყავს ქვეითი ჯარისა და ტანკების მნიშვნელოვანი ძალები. საბჭოთა მებრძოლები მტკიცედ იგერიებენ ფაშისტთა ყველა კონტრიერიშს.

ერთ-ერთი ჩვენი პოლკი ბრძოლას ეწეოდა კონტრიერიშზე გადმოსულ მტერთან. ბრძოლის ველზე იწოდა გერმანელთა ტანკები, ეყარნენ ქვეითი ჯარისა და არტილერისტების ცეცხლით დახოცილი ჰიტლერელები. მიუხედავად დიდი ზარალისა, მტერი წინ მოისწრაფოდა. ფაშისტთა შემოტევა განსაკუთრებით ძლიერი იყო იმ უბანზე, რომელსაც ლეიტენანტ მუხინის ოცეული იცავდა.

— ძმებო, წინ კიევია,—შესძახა ოცეულის მეთაურმა და მებრძოლები იერიშზე გადაიყვანა. მებრძოლები ბილინების დეკმბირებიდან იბრძოდნენ. რიგითმა ჯარისკაცმა ბუშუევმა თავის სანგარზე გადაატარა მტრის ტანკები, შემდეგ კი ტანკსაწინააღმდეგო თოფით გერმანელთა ორი მანქანა დაიზიანა. თორმეტი ფაშისტი დახოცა წითელარმიელმა კაბლუკოვმა. აგრეთვე გმირულად იბრძოდნენ ოცეულის სხვა მებრძოლები. მტერი უკუგდებულ იქნა მისთვის დიდი ზარალის მიყენებით.

6 ნაწილში მტრის კონტრიერიშის მოგერიებისას თავი გამოიჩინა ასეულმა უფროს ლეიტენანტ ოგოროდნიკოვის მეთაურობით. ბრძოლის პირველსავე საათებში ამ ასეულის მებრძოლებმა მოსპეს გერმანელთა 3 ტანკი, ერთი ჯავშნიანი მანქანა და 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს. როცა გერმანელთა ტანკები ჩვენს სანგრებს მოუახლოვდნენ, რიგითმა ჯარისკაცმა კუშკუნბაევმა წამოიჩოქა და ცეცხლგამჩენი ტყვია მიბრჯნით დაუშინა მათ. უფროსი ლეიტენანტი ოგოროდნიკოვი უნარიანად ხელმძღვანელობდა ბრძოლას. თავისი უშიშარობით იგი აშნაველებდა თავის მებრძოლებს. შეტაკების დაძაბულ მომენტში ოგოროდნიკოვმა ტყვიამფრქვევის ზუსტი ცეცხლით რამდენიმე ათეული გერმანელი დახოცა.

მამაცურად იბრძვიან არტილერისტები. უმცროს სერჟანტ ბელზეროვის ქვემეხის ბუნდმა ფაშისტთა 4 ტანკს ცეცხლი წაუკიდა. მარჯვენა ნაპირზე ფართოდ არის ცნობილი ოფიცერ ნოვიკოვის ქვეგანაყოფის არტილერისტთა საგმირო საქმენი. ღია პოზიციებიდან ისინი სპობენ მტრის ტექნიკასა და ცოცხალ ძალას. ქვემეხის მეთაურმა სერჟანტმა ბასოვმა და მემიზნემ ეფრეიტორმა იურჩენკომ თითქმის მიბრჯნით დაიზიანეს ფაშისტთა ერთი ტანკი და ცეცხლი გაუხსნეს ორ ტანკს.

დნეპრის დასავლეთ ნაპირზე ხშირად ჩაღდება სატანკო ბრძოლა, რომელიც საბჭოთა ტანკისტების გამარჯვებით მთავრდება. ერთ მაღლობის მისადგომებზე პოზიციები დიაკავეს ჩვენმა ტანკებმა უფროს ლეიტენანტ შატიკოვის მეთაურობით. მალე გერმანელთა ქვეითი ჯარის ორმა ბატალიონმა ტანკების დახმარებით იერიში დაიწყო და ცდილობდა დაეკავებინა მაღლობი. შატიკოვის ქვეგანაყოფმა ტყვიამფრქვევისა და ზარბაზნის ცეცხლით მოსპო გერმანელთა რამდენიმე ტანკი და ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი გაიყარა. მტრის კონტრიერიში ჩაიფუშა.

უფროსი ლეიტენანტი შეგვანი თავისი ტანკით მტრის განლაგებაში შეიჭრა, ცეცხლითა და მუზლუხებით მოსპო 2 ჯავშნიანი მანქანა, 4 მოტოციკლი, ჯავშნიანი ტრანსპორტი და რამდენიმე ათეული ფაშისტი.

განსაკუთრებული მამაცობით იბრძვიან ქვეითები. ისინი ხშირად ებმებიან ხელჩართულ ბრძოლაში მტერთან. სერჟანტმა ბიკეევმა გერმანელთა სანგარში 7 ფაშისტი მოსპო, მტრის 6 ჯარისკაცი გაიყარა მეავტომატე მოსკვინმა. უეცარი და სწრაფი იერიშებით ქვეითები დასაყრდენი პუნქტებიდან ერეკებიან ჰიტლერელებს და იუმჯობესებენ პოზიციებს.

გერმანელთა ავიაცია ხელს არ იღებს ცდაზე გამოიჩრას ჩვენი თვითმფრინავების მწყობრში და იერიში მოიტანოს შემტევი საბჭოთა ჯარების საბრძოლო წყობილებებზე და დნეპრის გადასასვლელებზე. ჰაერში წამდაუწუმ სწარმოებს დიდი საჰაერო ბრძოლები. მარტო გუშინდელი დღის განმავლობაში ჩვენმა მფრინავებმა ფაშისტთა 14 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა ბოროდაჩოვმა. იგი ჩვენი ნაწილების შეტევას იფარავდა, და ბრძოლა გაუმართა მტრის ავიაგამანადგურებლებსა და ბომბდამშენებს. დახელოვნებულმა მფრინავმა ამ ბრძოლაში მოსპო ფაშისტთა 2 ავიაგამანადგურებელი და ერთი ბომბდამშენი. გერმანელთა 2 თვითმფრინავი ჩამოაგდო ერთი დღის განმავლობაში მფრინავმა კომკავშირელმა მოსკოვსკიმ.

აღფრთოვანებით ლაპარაკობენ სახმელეთო ჯარის მებრძოლები მოიერიშეთა მოქმედებაზე. მოიერიშე ავიაციას განუწყვეტლად მიაქვს იერიშები მტერზე და მას საგრძნობ ზარალს აყენებს. ჩვენი მანქანების ჯგუფზე იერიში მოიტანა მტრის 16 ავიაგამანადგურებელმა. მოიერიშეებმა ერთმანეთი დაიფარეს, საბრძოლო დავალება შეასრულეს და საჰაერო ბრძოლაში გერმანელთა 3 ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდეს.

ნარჯვენა ნაპირისათვის გაჩაღებულ სასტიკ ბრძოლებში ფაშისტებს დიდი ზარალი მოსდით ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. წითელი არმიის ნაწილები ჭანცს აცლიან და სპობენ მტერს და დღითი-დღე იუმჯობესებენ პოზიციებს.

გ. კრილოვი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

16 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების კონტრიერიშებს და განაგრძობდნენ ქუჩებში ბრძოლას ქალაქ **მელიტოპოლში.** მტერს უდიდესი ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ქალაქ **მელიტოპოლის** მარტო სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იერიშების მოგერიებისას ჩვენმა ჯარებმა გერმანელთა 40-ზე მეტი ტანკი მოსპეს.

ზაპოროჟიეს სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა, განაგრძობდნენ რა შეტევას, წინ წაიწიეს 5-დან 10 კილომეტრამდე და დაიკავეს დასახლებული პუნქტები **იანჩეკრაპი, ჟერებიანკა, ლუგოვოი, ლენინი, გროზოვი, გლადკი.**

კრემენჩუგის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა განაახლეს ბრძოლები პლაცდარმის გასაფართოებლად მდინარე **დნეპრის** მარჯვენა ნაპირზე, გასტეხეს რა მტრის სასტიკი წინააღმდეგობა, წინ წაიწიეს 5-დან 10 კილომეტრამდე და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. მტრის არაერთგზისი კონტრიერიშები, რომლებსაც ტანკები და ავიაცია ეხმარებოდნენ, მოგერიებულ იქნა მისთვის დიდი ზარალის მიყენებით.

დნეპრის შუაწელის ზოლში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, **კიევის** ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმის გასაფართოებლად და გაიუმჯობესეს პოზიციები.

ბობრუისკის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლების შედეგად წინ წაიწიეს და გაიუმჯობესეს პოზიციები.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე გაძლიერებული დაზვერვა და საარტილერიო-სანალმტყორცნო სროლა.

15 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 81 ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 76 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ მელიტოპოლში გრძელდება ქუჩებში ბრძოლა. მტერს განუწყვეტლივ მოჰყავს ფრონტის სხვა უბნებიდან ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები, გადმოჰყავს კონტრიერიშებზე და ცდილობს აღადგინოს მდგომარეობა. ქუჩებში გამართული ბრძოლების შედეგად, რომლებიც არაერთგზის ხელჩართულ შეტაკებად იქცეოდა, ჩვენმა ჯარებმა გერმანელთაგან გასწმინდეს მთელი რიგი უბნები და 2.000-მდე ჰიტლერელი გაიყარეს. გერმანელებმა რამდენიმე სატანკო კონტრიერიში მოიტანეს, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. საბჭოთა არტილერისტებმა და ჯავშანმტვრეველებმა, რომლებიც ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მოქმედებენ, გერმანელთა 40-ზე მეტი ტანკი მოსპეს. გარდა ამისა, ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მტრის 28 ქვემეხი, 6 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი და 120 ავტომანქანა.

* * *

ქალაქ ზაპოროჟიეს სამხრეთით 6 შენაერთის ნაწილებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა, რომელიც ცდილობდა შეჩერებულიყო შუალედ ზღუდეებზე, წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ერთ უბანზე გერმანელები ძლიერი სანაღმტყორცნო და სატყვიამფრქვევო ცეცხლით ბლოკავდნენ ჩვენს შემტევ ქვეგანაყოფებს. 6 ნაწილის ტანკისტებმა ხეებით წაიწიეს წინ და გარს შემოუარეს მტერს. გერმანელები მიმწყვდეულ იქნენ ქალაკებისაკენ, გარშემორტყმის მუქარით უწესრიგოდ დაიხიეს უკან და მიატოვეს 13 ნაღმსატყორცნი, 42 ტყვიამფრქვევი და ბევრი სამარხი მასალა. სხვა უბანზე საბჭოთა მოძრავმა რაზმებმა გაანადგურეს მტრის ქვეითი ჯარის ბატალიონი და ხელთ იგდეს ტყვეები.

ჩვენი მფრინავები კვლავ ურტყამდნენ მტრის ჯარებს და დიდი ზარალი მიაყენეს ნაცი. სამი ღამის განმავლობაში ჩვენი ავიაცია ზედიზედ ბომბავდა გერმანელთა სამხედრო ეშელონებს და მტრის სამხედრო საწყობებს ნიკოპოლის რაიონიზის სადგურზე. დაბომბვის შედეგად დამსხვრეულია 4 სარკინიგზო შემადგენლობა ტექნიკისად და საომარ მასალისად. ბევრგან ხანძარი გაჩნდა, რომლებსაც თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი.

* * *

დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქ კრემენჩუგის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა იერიში მიიტანეს მტერზე და გაფანტეს ბრძოლის შედეგად დაიკავეს ძლიერ გამაგრებული პოზიციები. საბჭოთა ჯარებმა განაგრძეს წარმატება, წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. გერმანელთა ყველა ცდა აღედგინათ მდგომარეობა მარცხით დამთავრდა. მტრის კონტრიერიშების მოგერიებისას ჩვენმა ჯარებმა დაიზიანეს და დასწეს მოწინააღმდეგის 25 ტანკი და გაეკეტეს გერმანელთა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. ხელთ ვიგდეთ დავლა. ტყვედ წამოყვანილია 250-ზე მეტი კაცი.

* * *

დნეპრის შუაწელში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს და გაიუმჯობესეს პოზიციები. კიევის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში გაეკეტეს 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. გასული კვირის განმავლობაში 6 შენაერთის ნაწილებმა მოიგერიეს მტრის ქვეითი ჯარის, ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხების 200-ზე მეტი კონტრიერიში. შენაერთის ნაწილები იგერიებდნენ მტრის კონტრიერიშებს, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ და ამ ხნის განმავლობაში გაეკეტეს 8.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს 176 ტანკი, 187 ქვემეხი და 400-ზე მეტი ტყვიამფრქვევი.

* * *

გომელის სამხრეთით 6 შენაერთის ნაწილები განაგრძობდნენ წინსვლას და გაიუმჯობესეს პოზიციები. გერმანელები ძლიერს ცეცხლითს წინააღმდეგობას გვიწევდნენ და ერა ერთგზის გადმოვიდნენ კონტრიერიშებზე. მტრის ყველა კონტრიერიში მოგერიებულია მისთვის დიდი ზარალის მიყენებით. მოსპობილია მტრის 800 ჯარისკაცი და ოფიცერი, 27 ქვემეხი, 95 ტყვიამფრქვევი და 60 ავტომანქანა ტვირთიანად. გომელის ჩრდილოეთით გაძლიერებული საარტილერიო სროლა სწარმოებდა.

* * *

ბალტიის ზღვაში ჩაძირულია მტრის ტრანსპორტი 1.500 ტონა წყალწყვისა.

* * *

ვილეიკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა გაანადგურა გერმანელთა გარნიზონები სამ დიდ დასახლებულ პუნქტში და ამასთან მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაეკეტა. პარტიზანებმა მოსპეს მტრის 5 ტანკი, 16 ავტომანქანა და 36 მოტოციკლი. საბჭოთა პატრიოტებმა ხელთ იგდეს 3 ქვემეხი, 36 ტყვიამფრქვევი, 270 შაშხანა და ბევრი საომარი მასალა. ვილეიკელ პარტიზანთა სხვა რაზმმა ნაღმებზე აიფეთქა გერმანელთა 9 ავტომანქანა და მოსპო 86 ჰიტლერელი.

* * *

გერმანელთა 57-ე ქვეითი დივიზიის 164-ე პოლკის მე-11 ასეულის ეფრეიტორმა რუდოლფ კელერმა, რომელიც ტყვედ წამოვიყვანეთ დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, განაცხადა: „უკანდახევის მთელ გზაში ბელგოროდის რაიონიდან დნეპრამდე ჩვენს დივიზიას დიდი ზარალი მოსდიოდა. როდესაც ჩვენ დნეპრის მარჯვენა ნაპირზე გადავედით, 164-ე პოლკი ოთხი შეერთებული ასეულისაგან შესდგებოდა. ერთად აღებულ ყველა ამ ასეულში 115 კაცი ითვლებოდა. ჯარისკაცებს სურდათ რაც შეიძლება მალე გადასულიყვნენ დნეპრის მარჯვენა ნაპირზე. ყველა ფიქრობდა, ხსნა მხოლოდ იქ, მდინარის გადმა არის შესაძლებელი. ოფიცრები გვარწმუნებდნენ, წყლის ამ ზღუდეზე ვერც ერთი რუსი ჯარისკაცი ვერ გადმოვიდა. „გარამ რამდენიმე დღის შემდეგ რუსები დნეპრზე გადმოვიდნენ და სრულიად მოულოდნელად ზურგში მოუარეს ჩვენს პოლკს. არავინ არ მოელოდა, რომ რუსები ასე მალე გადმოლახავდნენ ასეთ ფართო მდინარეს. ატყდა წარმოუდგენელი პანიკა. ჯარისკაცებმა გონება დაჰკარგეს შიშით და ყვიროდნენ: „გარს შემოგვერტყნენ! მომწყვდეული ვართ“. მე ჯარისკაცთა ჯგუფთან ერთად გადავწყვიტე, მას შემდეგ, რაც ბრძოლა დნეპრის მარჯვენა ნაპირზე იქნა გადატანილი, ყველაფერი დაიღუპა მეთქი, და ტყვედ დავნებდი“.

უკანასკნელი ცნობები

სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ამხ. გუსევმა რწმუნების სიგელები გადასცა მეფე გეორგ VI-ეს

ლონდონი, 15 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის მეფემ გეორგ VI-ემ დღეს ბუკინჰემის სასახლეში მიიღო სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში ამხ. გუსევი, რომელმაც თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

საკავშირო რეჟიმი საბჭოთა მოქალაქეებისათვის. რომლებიც ძალით არიან გაჩეკილნი ჰიტლერელ გერმანიაში

ჟენევა, 16 ოქტომბერი (საკდესი). ჰიტლერული გაზეთი „მიუნსტაუზერ ტაგბლატი“ აქვეყნებს შინაარსს ჰიტლერელ ხელისუფალთა ახალი ოფიციალური განკარგულებისას „ადმინისტრატიულ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ზღუდავენ ადგილობრივ მოსახლეობასთან აღმოსავლეთელი მუშების ურთიერთობის შესაძლებლობას“. გაზეთი განმარტავს, რომ „აღმოსავლეთელი მუშების“ სახელით უნდა ვიგულისხმოთ ის პირები, რომლებიც რუსეთთან ომის დაწყებამდე საბჭოთა ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.

ამ განკარგულების თანახმად, „აღმოსავლეთელ მუშებს“ ეკრძალებათ პოლიციის ნებართვის გარეშე დასტოვონ თავიანთი სამუშაო ადგილი, ისარგებლონ საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებებით, დასტოვონ თავიანთი ბინა და იმყოფებოდნენ ხელისუფალთა მიერ განკუთვნილი ღამის გათევის ადგილის გარეთ. „აღმოსავლეთელ მუშებს“ სასტიკად ეკრძალებათ საზოგადოებრივ დაწესებულებებში შესვლა. საჭმლის მისაღებ ადგილებში მისვლა მათ შეუძლიათ მხოლოდ მათთვის დანიშნულ საათებში. ამ საათების განმავლობაში სწყდება გერმანელების იქ მისვლა.

ჰიტლერელი ხელისუფალნი აფრთხილებენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომ ყოველი გერმანელი, რომელიც გაიგებს რომელიმე „აღმოსავლეთელი მუშის“ მიერ მისთვის მითითებული ყოფაქცევის წესების დარღვევას, და ამის შესახებ არ აცნობებს ხელისუფლებას, აგრეთვე დასჯილ იქნება.

ჩრდილოეთ ნორვეგიაში აფეთქებულ იქნა გერმანიის გემი საომარ მასალიანად

სტოკჰოლმი, 15 ოქტომბერი (საკდესი). შვეიცია-ნორვეგიის პრესბიურო იუწყება, რომ პორსანგერფიორდის (ჩრდილოეთ ნორვეგია) ერთ-ერთ ბუხტში აფეთქებულია გერმანიის გემი 10.000 ტონა წყალწყვისა, საომარი მასალითა და ავიაბომბებით დატვირთული, რომლებიც გერმანიის აეროდრომისათვის იყო განკუთვნილი. დაიღუპა 122 კაცი.

მდგომარეობა არგენტინაში

ნიუ-იორკი, 16 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ბუენოს-აირესიდან გადმოგვცემს, რომ არგენტინის მთავრობამ მიიღო ფინანსთა მინისტრის სანტამარინას, იუსტიციისა და სახალხო განათლების მინისტრ ანაიას და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრ გალინდესის გადადგომა. სააგენტო აღნიშნავს, რომ ეს სამი მინისტრი მომხრე იყო ღერძის ქვეყნებთან არგენტინის ურთიერთობის შეწყვეტისა.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან გადმოგვცემს, რომ გადადგა აგრეთვე მიწათმოქმედების მინისტრი მასონა.

ეს ფოტოსურათები გამოქვეყნებულია ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის გაზეთში „ზა როდინუ“. სურათები უპოვნეს ტყვედ წამოყვანილ გერმანელ ჯარისკაც ლიუდვიგს, რომელიც გერმანელთა მე-16 არმიის ერთ-ერთ სადამსჯელო ნაწილში მსახურობდა. სურათებზე გამოხატულია, როგორ ხვრეტენ გესტაპოელები საბჭოთა ადამიანებს. თქვენ ხედავთ ჩვეულებრივ რუს გლეხებს, მათთვის ხელები შეუკრავთ, ორმოს წინ დაუჩოქებიათ და გერმანელი ჯალათები ესროლენ ტყვიით გაუგმირონ მათ კეფა.

ირგვლივ დგანან გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც აშკარა სიამოვნებით უცქერიან სიკვდილით დასჯას.

ეს სურათები, რომლებიც გერმანელ ფოტომოყვარულს დაუმზადებია, განსაკუთრებით მკაფიოდ ახასიათებენ გერმანელთა ოკუპაციას. აი რაგორ იქცევიან ორფეხა მხეცები—გერმანელები ჩვენს მიწა-წყალზე. ასე უსწორდებიან გერმანელები მშვიდობიან რუს ადამიანებს სამშობლოს სიყვარულისათვის.

ბრძოლა ზაპოროჟიესათვის

მოქმედი არმია, 14 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ზაპოროჟიე დნეპრის მარცხენა ნაპირის უკრაინის უდიდესი სამრეწველო და ენერგეტიკული ცენტრია. ჰიტლერელებს მიერ აგებული სიმაგრენი, ნიენდნეპროვსკის ხიდწინა სიმაგრეებთან ერთად, შეადგენდნენ დნეპრის მარცხენა ნაპირის საფარის ერთიან სისტემას ნიენდნეპროვსკსა და ზაპოროჟიეს შორის. მტრის თავდაცვის ორივე ეს კერა კარგად იყო ერთმანეთთან დაკავშირებული რკინიგზითა და გზატკეცილით, რომლებიც დნეპრის გასწვრივ გადის.

ფაშისტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკუთვნებდნენ ზაპოროჟიეს დაცვას, და ქალაქის გარშემო მათ მძლავრ სიმაგრეთა ორი ხაზი ააგეს. პირველი ზღუდე, რომელიც ქალაქიდან 15-18 კილომეტრზე მდებარეობდა, ღრმა ტანკსაწინააღმდეგო თხრილს წარმოადგენდა. იგი ჩრდილოეთით დნეპრთან იწყებოდა და ნახევარრკალად უვლიდა ქალაქს. გარედან თხრილი დაცული იყო ნაღმიანი არეებითა და მაღალი ყრილით. ტანკსაწინააღმდეგო თხრილის გადაღმა აგებული იყო საველე სიმაგრენი სანგრებიანად და ტრანშეებიანად, ალაგ-ალაგ სრული პროფილისა. მეორე ზღუდე გადაიოდა ქალაქის განაპირა უბნებში. აქ თავმოყრილი იყო გერმანელთა ყველა სახის საფორტიფიკაციო ტექნიკა — ჩვეულებრივი ტრანშეებით დაწყებული და ჯავშანხუფებით გათავებული. ქალაქის დაცვის მთელი სისტემა კუნძულ ხორტიცადან დაცული იყო საარტილერიო და სანაღმტყორცნო ცეცხლით.

ზაპოროჟიესათვის ბრძოლები არსებითად დაიწყო მას შემდეგ, რაც ჩვენი ნაწილები სინელნიკოვო-სლავგოროდის რკინიგზას მიადგნენ. აქ იყო გერმანელთა თავდაცვის შუალედური ზღუდეები ზაპოროჟიეს მისადგომებზე. იგივე რკინიგზა ერთიან ჯაჭვად აკავშირებდა დნეპრის მარცხენა ნაპირის თავდაცვითი სისტემის ცალკეულ რგოლებს; ამ სისტემის ფლანგებსა და დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენენ ზაპოროჟიესთან და ნიენდნეპროვსკთან არსებული ხიდწინა სიმაგრენი. სინელნიკოვოს და სლავგოროდის, შემდეგ კი ნოვო-მოსკოვსკისა და ნიენდნეპროვსკის დაკავებით გერმანელთა მთელი ეს თავდაცვითი სისტემა გაკვეთილ იქნა ნაჭრებად. ჩვენმა ჯარებმა დასძლიეს უკანასკნელი დაბრკოლებანი დნეპრისაკენ მიმავალ გზაზე და მიადგნენ მის მარცხენა ნაპირს მთელ მანძილზე—ნიენდნეპროვსკიდან იმ ადგილამდე, სადაც დნეპრს ერთვის მდინარე ვოლნიანკა. ამასთან ერთად ჩვენი ჯარები დაეუფლნენ ზაპოროჟიეს გასასვლელებსაც.

სინელნიკოვოდან და სლავგოროდიდან ზაპოროჟიესაკენ მიდის გზების ფართოდ განშტოებული ქსელი. სწრაფად ამ გზებით გაეშურნენ ჩვენი ნაწილები სხვადასხვა მიმართულებიდან სამხრეთ-დასავლეთით, ზაპოროჟიეს რაიონისაკენ. მოძრავმა ნაწილებმა, რომლებიც მოედვნენ გზებს, ნაწილობრივ წაართვეს ჰიტლერელებს შესაძლებლობა—მასირებული ზემოქმედება მ



ახალქალაქის მტს-ის ტრაქტორისტი მ. სარქისიანი საშემოდგომო ხვნაზე. ამხ. სარ-ქისიანმა წელს დაზოგა 516 კილოგრამი საწვავი, იგი ხვნის დღიურ ნორმას 150 პრო-ცენტით ასრულებს. ფოტო რ. აკოფოვისა

ა. შ. შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტი. მოტრანსირე ცეცხლწამკიდი ტყვიების სავარჯიშო სროლა 20-მილიმეტრიანი საზენიტო ზარბაზნებით ამერიკის ავიოსნის ერდოდან.

კოლმეურნეებმა აღმართეს წინასაოქტომბრო შეჯიბრების დროშა

ლაგოდეხი („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეობები აქტიურად გამოეხმაურნენ აღდგომელთა მოწოდებას და ჩაებნენ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. კოლმეურნეობა შრომაში (თავმჯდომარე ამხ. სამარგველიანი), რომელიც სარაიონო ეიურის მიერ დამტკიცებულია გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატად, იკისრეს 5 ნოემბრამდე აიღონ თამბაქოს მოსავალი და ჩააბარონ სახელმწიფოს, საშემოდგომო თესვა დაამთავრონ 20 ოქტომბრისათვის, გაუგზავნონ მებრძოლებს საოქტომბრო სა-ჩუქრები. სოფ. შრომის ტელმანის სახელ-ობის ბრიგადის ბრიგადირმა სტეფანე ბესა-შვილმა იკისრა თამბაქოს მოსავალი აიღოს ვადაზე ადრე, ხოლო № 6 ბრიგადის ბრიგადირმა ივანე მაისურაძემ ვალდებულება აი-ღო თესვა დაამთავროს 18 ოქტომბრისათვის.

კონკრეტული ვალდებულებანი აიღეს სოფ. ცოდნის ორჯონიკიძის, სოფ. ორჯონიკიძის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებმა. წი-ნასაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმულია ყვე-ლა კოლმეურნეობა, ბრიგადა და რგოლი. კოლმეურნეობები ენერგიულად შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ვ. ცირეკიძე

ვოსავალს დაცდა არ უყვარს

ქუთაისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები სიმინდის მოსავალს 9.447 ჰექტარზე იღებენ. ორ კვირაზე მეტია დაიწყო მოსავლის მასობრივად აღება. სწრაფად და უდანაკარგოდ აიღო მოსავალი სოფ. გოდოგნის კოლმეურნეობა „ახალმა ნაბიჯმა“. კოლმეურნეებმა აზერბაიჯანის სსრ აღდგომის რაიონის კოლმეურნეთა მიმართვის პასუხად იკისრეს 10 ოქტომბრისათვის დაამთავრებინათ სიმინდისა და სოიის მოსავლის აღება. ეს ვალდებულება შესრულებულია. სწრაფად დაამთავრა სიმინდის აღება კვახჭირის კოლმეურნეობა „რიონჰესმა“ (თავმჯდომარე კ. აბულაძე), რომელსაც მეორე წელია რაიონული გარდამავალი წითელი დროშა აქვს მიკუთვნებული. მოსავლის აღება დაამთავრეს აგრეთვე სოფ. ბარდუბნის, ქვეშო სიმონეთის, ნახშირღელის მე-17 პარტყრილობის სახელობისა და ჭოგნარის ოქტომბრის რეკონსტრუქციის 20 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ზოგან აჭიანურებენ მოსავლის აღებას. სიმინდის აღებაში ჩამორჩნენ გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლა“ და ოფშკვითის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა. სოფ. მექვეხის კალინინის და ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობებში, აგრეთვე საჩხეურისა და ნამოხვანის კოლმეურნეობებში დიდი დაგვიანებით დაიწყეს სიმინდის აღება. ამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები დაადგნენ შეუწყნარებელ პრაქტიკას, უცდიან სიმინდის ყველა ყანის დამწიფებას. მათ ავიწყდებათ, რომ მოსავალი უნდა აიღონ შერჩევით და რომ მოსავალს დაცდა არ უყვარს.

ოფშკვითის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის მოსავალს ნელი ტემპით იღებენ პირველი და მეორე ბრიგადები (ბრიგადირები კ. ხონელაძე და შ. ჭოლაძე). ამ ბრიგადებში დაბალია შრომის დისციპლინა, თვით მერგოლურები—გრ. პერტია და ვლ. კეპულაძე ხშირად აცდენენ სამუშაო დღეებს. ეს შეუწყნარებელია.

შ. ჯაბანაძე

სახელმწიფოს საუკეთესო ყურძენს აბარებენ

თელავი („კომუნისტის“ საკ. კორ.). თელავის რაიონის კოლმეურნეობებში რთველი მასობრივად გაჩაღდა. კოლმეურნეობები წელს ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ. კოლმეურნეობები და კოლმეურნეები პირველ რიგში იხდიან სახელმწიფოს წინაშე ყურძნის ჩაბარების ვალდებულებას. სოფ. იყალთოს კოლმეურნეობა „წითელმა ვარსკვლავმა“, სადაც თავმჯდომარეა შ. გელაშვილი, 23 ტონა ყურძენი ჩაბარა სახელმწიფოს, ხოლო ართანის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ყურშიტაშვილი)—25 ტონა. შალაურის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა შეასრულა ყურძნის ჩაბარების გეგმა.

ყურძნის ჩაბარების ვალდებულებას წარმატებით ასრულებენ კოლმეურნეები. რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენთავათვის“ წევრმა ოსია ძამუკაშვილმა სახელმწიფოს 252 კილოგრამის ნაცვლად 261 კილოგრამი ყურძენი ჩაბარა, ბერია გიგოლაშვილმა — 292 კილოგრამი, ნაცვლად 266 კილოგრამისა, ევა ძამუკაშვილმა, რომელსაც ორი შვილი ფრონტზე ჰყავს, ყურძნის ჩაბარების გეგმა 120 პროცენტით შეასრულა.

ყურძნის ჩაბარება წარმატებით გრძელდება.

ს. ქოჩლაძე

საკ. აღკგ XXV წლის თავისათვის

ხაშურის ახალგაზრდობა წარმატებით ემზადება

ხაშურის რაიონის ახალგაზრდობა წარმატებით ემზადება ლენინურ-სტალინური კომკავშირის სახელოვანი 25 წლისთავისათვის. საწარმოებში, რკინიგზის კვანძზე, კოლმეურნეობებსა და სკოლებში ახალგაზრდები საკავშირო 25 წლისთავის აღსანიშნავად დამატებით კისრულობენ ვალდებულებებს და ფართოდ აჩაღებენ სოცშეჯიბრებას.

კოლმეურნე კომკავშირელები გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებული რაიონებისათვის სთესენ 25 ჰექტარ საშემოდგომო კულტურებს. სოფ. დიდი სატივის კოლმეურნე კომკავშირელებმა უკვე დასთესეს 1,5 ჰექტარი, ქვემო მიწობელებმა — 1 ჰექტარი. უწყლეთის კოლმეურნე ახალგაზრდობა (კოლმეურნეობის თავმჯდომარე კომკავშირელი შუბითიძე) გეგმის გადამეტებით 1 ჰექტარზე დასთესავს საშემოდგომო ხორბალს.

ხაშურის საელმავლო დეპოს 57 კომკავშირელიდან ამჟამად 41 სტახანოველია, 9 ლუნინურად მუშაობს. მეავტომატე გ. დერევიანჩენკომ სექტემბრის გეგმა 300 პროც. შეასრულა, ხარატმა გ. ჯაღიაშვილმა — 202 პროცენტით. ელდეპოელი კომკავშირელები ჩაებნენ შეჯიბრებაში და იკისრეს 29 ოქტომბრამდე გეგმის გადამეტებით აღდგინონ 5 ვაგონი და შეჰქმნან ელმავლის მეორე კომკავშირული ბრიგადა. ახალგაზრდა მევაგონეებმა შეასრულეს აღებული ვალდებულება, მათ უკვე აღადგინეს 20 ვაგონი. ამავე დროს სახელმწიფოს ჩაბარეს 25 ტონა შავი ლითონის ჯართი. კომკავშირულმა ცვლამ, რომელსაც კომუნისტი ოსტატი ამხ. მაღრაძე ხელმძღვანელობს, იკისრა 29 ოქტომბრამდე 10 ვაგონი აღადგინოს. 8 ოქტომბერს უკვე აღდგენილი ჰქონდათ 2 ვაგონი.

სალიანდაგო დისტანციის კომკავშირელები კომკავშირის 25 წლისთავისათვის განთავისუფლებული რაიონების რკინიგზებს გაუგზავნიან 120 სხვადასხვა სახის იარაღს, აგრეთვე შეაგროვებენ 15 ტონა ლითონის ჯართს.

კომკავშირის რაიკომი შეუდგა მუშაობას გამოფენის მოსაწყობად თემაზე — „ჩვენი რაიონის ახალგაზრდობა სამამულო ომში“.

ლ. კაკიაშვილი

კომკავშირელთა საჩუქრები დაჭრილ მეომრებს

კასპის რაიონის რგვალი ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ (მდივანი ამხ. ნ. ყარაშვილი) შეაგროვა და 6 ჰოსპიტალში სამკურნალოდ მყოფ დაჭრილ მეომრებს საჩუქრად გაუგზავნა ერთი ავტომანქანა ბოსტნეული, აგრეთვე ქათმები, ცხვარი, 23 წყვილი წინდა და სხვ.

საჩუქრების მიღების შემდეგ 6 ჰოსპიტლის უფროსმა დაჭრილ მებრძოლთა სახელით მადლობის წერილი გამოუგზავნა რგვალი ჭალის კოლმეურნე ახალგაზრდებს.

ამ მადლობის წერილით აღფრთოვანებულმა რგვალი ჭალის ახალგაზრდობამ ახალი ვალდებულება აიღო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის აღსანიშნავად.

სოფ. რგვალი ჭალის კომკავშირელთა ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ რაიონის კომკავშირული ორგანიზაციები. ისინი უკვე ამზადებენ საჩუქრებს დაჭრილი ვეტერანებისათვის და გაუგზავნიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის დღეს.

ვ. გუზალაძე

პარტიული ცხოვრება

საფუძვლიანად სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს

გალის რაიონის მშრომელები, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები დაუცხრომლად სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. რაიონის მშრომელთა დიდი ნაწილი დამოუკიდებლად სწავლობს ბელადის ნაშრომს, ხოლო იმ ამხანაგებისათვის, რომლებმაც წიგნის წრეში შესწავლის სურვილი განაცხადეს, შექმნილია 22 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 600 მსმენელი. წრეებს გამოცდილი პროპაგანდისტები ხელმძღვანელობენ.

რაიონულმა კომიტეტმა თავიდანვე გაამახვილა ყურადღება ამხანაგ სტალინის წიგნის შემსწავლელი ამხანაგების უზრუნველყოფისათვის ძირითადი და დამხმარე ლიტერატურით. პარტკაბინეტში მოეწყო ლიტერატურის გამოფენა ცალკეული თემების მიხედვით. ჩატარებულ იქნა მთელი რიგი ლექციები და მოხსენებები ამხანაგ სტალინის წიგნიდან გამომდინარე საკითხებზე. ამხანაგ სტალინის წიგნის საფუძველზე საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ რაიონის ხელმძღვანელმა პარტიულმა და სამეურნეო აქტივმა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში სკკ(ბ)-ში წაიკითხა 33 პოლიტიკური მოხსენება.

წარმატებით მუშაობენ ამხანაგ სტალინის წიგნის შემსწავლელი მთელი რიგი წრეები. სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციასთან არსებული წრის პროპაგანდისტი ამხ. თამარ ფარფალია გულმოდგინედ ემზადება მეცადინეობისათვის, კითხულობს დამხმარე ლიტერატურას, ადგენს კონსპექტს, ყოველ საბაბს მოხერხებულად უკავშირებს კოლმეურნეობის ცხოვრებას. წრის მსმენელები ამხ. გ. ჯაჯუბურია, ჩ. ქვაჩახია, ი. ახვლედიანი ბეჯითად სწავლობენ, განვლილ მასალებში კარგად ერკვევიან და თავიანთ საუბრებში უბნებზე სტახანოვური შრომის მაგალითებს იძლევიან. ბელადის წიგნი მსმენელებს აღფრთოვანებს მაღალნაყოფიერი შრომისათვის. წრის ყველა მსმენელი სტახანოველები არიან და ნორმებს სამმაგად და ოთხმაგად ასრულებენ. კარგად მუშაობენ აგრეთვე კოლმეურნეობების „გიგანტის“, „კომკავშირის“, პირველი გალის, პირველი ბარღეფის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებთან არსებული წრეები.

მიღწევებთან ერთად წრეების მუშაობაში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. ამას წინათ ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაცია წრეს საჭირო დახმარებასა და ხელმძღვანელობას არ უწევს. მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციასთან არსებული წრის პროპაგანდისტი ამხ. ბ. ესართია არასტრიოზულად ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. იგი მეცადინეობისათვის წინასწარ არ ემზადება.

სტალინის წიგნის დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებს დიდ დახმარებას უწევს ჯგუფური კონსულტაციები და თეორიული გასაუბრებანი, რასაც პარტკაბინეტი სისტემატურად აწყობს.

გალის მეორე საშუალო სკოლის პარტორგანიზაციაში პირველ თემაზე თეორიულ გასაუბრებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მსწავლებლებმა ამხ. ს. ყოლბაიამ, ე. გადელიამ, ვ. ზუხუბაიამ. თეორიული გასაუბრება მოეწყო აგრეთვე ჩაის ფაბრიკაში.

რაიკომის ბიურომ განიხილა თეორიულ გასაუბრებათა პირველი შედეგები და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გალის რაიონის მშრომელები, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, პარტორგანიზაციების დახმარებითა და ხელმძღვანელობით, ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლიან ეპოქის უდიდეს დოკუმენტს—ამხანაგ სტალინის ისტორიულ წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, და ყველაფერს გააკეთებენ მასში დასახულ დიად ამოცანათა განსახორციელებად, პირისსლიან ფაშიზმზე გამარჯვების დასაჩქარებლად.

ა. ჯიქია

საქ. კ. პ. (ბ) გალის რაიკომის მდივანი.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის პლენუმი

ზუგდიდი („კომუნისტის“ საკ. კორ.). შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მეოცე პლენუმი, რომელმაც განიხილა სამი საკითხი.

პირველ საკითხზე — ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ გამოსვლასთან დაკავშირებით საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის დაყენების შესახებ — მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის პროპაგანდისტა ი. აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. გ. გობეჩიამ. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა დ. კალანდიამ, ნ. ხარებავამ, ხ. მოლაშხიამ, ჟ. კვარაცხელიამ, ა. ჯგერენაიამ, ს. ქვარცხავამ, ელ. კოდუამ და სხვებმა.

პლენუმზე აღინიშნა, რომ რაიონის პარტიულმა და არაპარტიული ბოლშევიკები საფუძვლიანად სწავლობენ ბელადის ისტორიულ წიგნს. შექმნილია 75 წრე. წრეების უმრავლესობა კარგად მუშაობს. წიგნის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის პარტიულ კაბინეტში (გამგე ამხ. ა. ჩიქავა) უკვე მოეწყო 100-ზე მეტი ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაცია და 40 ლექცია-მოხსენება.

მაგრამ წრეების მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. ზოგიერთი პროპაგანდისტი უპასუხისმგებლოდ ეკიდება მოვალეობას. მაგალითად, სოფელ შამგონის საკოლმეურნეო პირველად პარტორგანიზაციასთან არსებულ წრეს, რომლის პროპაგანდისტია ამხ. ა. ჟვანია, უკანასკნელ დრომდე არცერთი მეცადინეობა არ ჩაუტარებია. მსგავსი მდგომარეობაა სოფელ კორცხელის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციასთან არსებულ წრეშიც (პროპაგანდისტი მ. ლაგვილავა).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე—კოლმეურნეობებში მოსავლის აღება-განაწილებისა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების შესახებ — მოხსენებით მამოვიდა რაისაბჭოს აღმასკომის მიწგანის გამგე ამხ. ვ. ჩიქავა. მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები მ. დოჩია, ბ. გაბუნია, ი. კაკალია, მ. აკობია, შ. თოდუა და სხვ.

მესამე საკითხზე — საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების ხაზით რაიონის პარტიული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ—მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის სორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების კამგემ ამხ. ა. ჯგუშიამ. მოხსენების გარშემო სიტყვებით გამოვიდნენ: ვ. ჯინჯოლავა, ლ. ალშიბაია, ა. ქობალია, ი. ბულია, თ. გეთია, კ. ბიჭია, ვ. მესხია და ზ. სორდია.

პლენუმმა განხილულ საკითხებზე დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ხ. ბერულავა

კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ და დავეხმაროთ წრეებს

გურჯაანი („კომუნისტის“ საკ. კორ.). გურჯაანის რაიონის მშრომელები უდიდესი ინტერესით სწავლობენ ამხანაგ სტალინის ისტორიულ წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. ამხანაგ სტალინის წიგნის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით რაიონში 50 წრეა შექმნილი, რომელშიც 950 კაცი მეცადინეობს. ბევრი დამოუკიდებლად სწავლობს. ორჯერ მოეწყო წრის ხელმძღვანელთა სემინარი, რომელიც ჩაატარა საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანმა ამხ. ივ. ფეიქრიშვილმა.

ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლის საქმე კარგად არის დაყენებული სოფ. ჩუმლაყის საკოლმეურნეო აქტივისათვის შექმნილ წრეში, რომელსაც ამხ. ვ. ბერულაშვილი ხელმძღვანელობს. ამ წრეში უკვე ჩაატარეს 7 მეცადინეობა. წრის მსმენელთა უმრავლესობა წარმატებით სწავლობს განვლილ მასალას. წრის ხელმძღვანელი ყოველთვის მომზადებული ცხადდება მეცადინეობაზე, საუბრის დროს იყენებს რუკებს და ილუსტრაციებს. მეცადინეობის ბოლოს ატარებს მოკლე პოლიტინფორმაციას უკანასკნელი ამბების შესახებ, რაც დიდ ინტერესს იწვევს მსმენელებში. წრეების მუშაობის საქმე კარგად არის მოწყობილი აგრეთვე გურჯაანის ღვინის ქარხანაში (ხელმძღვანელი ს. ნიკურაძე), კალაურის სასოფლო საბჭოსთან არსებულ წრეში (ხელმძღვანელი მ. კაკიაშვილი) და სხვ.

მაგრამ ზოგიერთი წრე არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. სუსტად არის დაყენებული სწავლების საქმე ველისციხის საკოლმეურნეო აქტივისათვის მოწყობილ წრეში, რომელსაც ამხ. რ. ნასარიძე ხელმძღვანელობს. წრემ დაგვიანებით დაიწყო მუშაობა. ჩატარებულია მხოლოდ ორი მეცადინეობა.

ასევე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მეცადინეობა ვეჯინის საკოლმეურნეო აქტივისათვის შექმნილ წრეში, რომელსაც ამხ. ა. ლაშქარავილი ხელმძღვანელობს.

საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომმა 9 ოქტომბერს ბიუროს სხდომაზე განიხილა საკითხი ზოგიერთი წრის მუშაობის შესახებ და დასახა ღონისძიებანი.

შ. მაჭავარიანი



ქ. ახალციხის 1-ლი ქართული სკოლის მასწავლებელი ე. ხითარიშვილი საქ. კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომის პარტკაბინეტში სწავლობს ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. ფოტო რ. აკოფოვისა

„ა მ გ ო ტ“

საბჭოთა საზოგადოებრიობა ღრმა ინტერესით ადევნებს თვალყურს საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში წამოჭრილ ყველა საკითხს, რომლებიც ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეეხება. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ჟურნალ „ვოინა ი რაბოჩი კლასის“ №№ 7 და 8-ში გამოქვეყნებული უცხოეთის პრესის მიმოხილვა, რომელშიც ლაპარაკია „ამგოტის“ შესახებ. ეს შემოკლებული სახელწოდება, რომელიც ამ უკანასკნელ დროს გამოჩნდა უცხოეთის პრესის ფურცლებზე, ნიშნავს: „მოკავშირეთა სამხედრო მთავრობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე“. ასეთი მთავრობა პირველად სიცილიაში ამოქმედა ინგლის-ამერიკის სარდლობამ კუნძულის დაკავების შემდეგ.

ინგლისისა და ამერიკის პრესის ცნობების მიხედვით „ამგოტის“ სტრუქტურა სიცილიაში ასეთია: „მოკავშირეთა სამხედრო მთავრობა“ ემორჩილება კუნძულის სამხედრო გუბერნატორს—ინგლისელ გენერალ ალექსანდერს, რომელიც უმაღლესი ძალაუფლებით არის აღჭურვილი. „ამგოტს“ სათავეში უდგას ინგლისელი გენერალ-მაიორი ლორდი რენელი, რომელიც სამოქალაქო საქმეებს ხელმძღვანელობს. რენელის მოადგილედ დანიშნულია ამერიკელი ბრიგადის გენერალი მაკშერი. აპარატი შესდგება რამდენიმე ასეული ინგლისელ და ამერიკელ ოფიცერთაგან, რომელთაც წინასწარ გაეწიათ ინსტრუქტაჟი. „ამგოტის“ არსებობის ხანგრძლივობა ამა თუ იმ ტერიტორიაზე სავსებით დამოკიდებულია ინგლისელ-ამერიკელ მოკავშირეთა ნება-სურვილზე.

როგორც ვხედავთ, „ამგოტი“ წმინდა ინგლისურ-ამერიკული ორგანიზაციაა. საბჭოთა კავშირი ამ ორგანიზაციაში არ მონაწილეობს.

ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით შემდეგნაირად გვიხატავს „ამგოტის“ მიზნებს: მოკავშირეთა „სამხედრო მთავრობა“ სიცილიაში მიიღებს ზომებს ფაშისტური პარტიისა და ფაშისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციების დასაშლელად; ფაშისტი მეთაურები დათხოვნილი იქნებიან მათი პოსტებიდან. ამასთანავე „ამგოტი“ კუნძულზე არ დაუშვებს არავითარ პოლიტიკურ მოღვაწეობას. იგი არ მისცემს უპირატესობას ამა თუ იმ ადგილობრივ პოლიტიკურ მოღვაწეთ. „ამგოტი“ შეეცდება უხელმძღვანელოს ოკუპირებული პროვინციებისა და ქალაქების მოსახლეობას მისი საკუთარი ოფიციალური წარმომადგენლების მეშვეობით, რომელნიც ფაშისტური პარტიის აქტიური წევრები არ არიან. „ამგოტი“ მეთვალყურეობას გაუწევს პროდუქტების ნორმირებას და სურსათით **და** მედიკამენტებით მოამარაგებს ყველას, ვისაც ესაჭიროება. იგი დაიცავს ოელიგიური კულტის თავისუფლებას. „ამგოტი“ გააუქმებს ყველა კანონს, რომელიც ითვალისწინებს რასის, სარწმუნოების და კანის ფერის დისკრიმინაციას, დაიცავს ნამდვილი იტალიის მატერიალურს სიმბოლოებს, შენობებს, ბიბლიოთეკებს, ძეგლებს, არქივებს და ხელოვნების ნაწარმოებთ. სამხედრო ვითარების ჩარჩოებში დაშვებული იქნება პრესის და სიტყვის თავისუფლება.

სიცილიის ქალაქებსა და რაიონებში „ამგოტი“ შეუდგა თავისი ფუნქციების შესრულებას, მაგრამ, როგორც ინგლის-ამერიკის პრესა იუწყება, „ამგოტის“ მოღვაწეობა სიცილიაში არც თუ მცირე საყვედურებს იწვევს ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. გამოსთქვამენ შიშს იმის გამო, რომ კუნძულზე მოკავშირეთა ჯარების გადასხდომის შემდეგ შექმნილი რეჟიმი ძალიან ნაკლებად შეეფერება დემოკრატიის დაცვის იმ ამოცანებს, რომელთაც მოკავშირეები ისახავენ ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციებიდან სჩანს, ადგილებზე ბევრი ფაშისტი დარჩა. „მოკავშირეთა სამხედრო მთავრობამ“ შეუნარჩუნა პოსტები პრეფექტების თანაშემწეებს და მერების მეორე მოადგილეებს, დასტოვა აგრეთვე ბევრი ძველი მოხელე. კორესპონდენტი იუწყება:

„იტალიელი ანტიფაშისტები იმედგაცრუებული არიან იმით, რომ მრავალი მოხელე, რომელიც წინათ ფაშისტებთან იყო დაკავშირებული, თავის ადგილზე დარჩა. ანტიფაშისტები, როგორც სჩანს, მოელოდნენ, რომ მოკავშირეები ყველა ფაშისტ ხელისუფალთ განდევნიდნენ“.

საერთო გეზს იტალიის ფაშისტური სახელმწიფო აპარატის გამოყენებაზე ასახავს „ტაიმსი“, რომელიც აღნიშნავს:

„მანამდე, ვიდრე ოკუპირებულ რაიონებში ფაშისტური ადმინისტრაცია დარჩება, იტალიელი მოხელენი, იტალიის ყველა ქვეშევრდომის მსგავსად, მოკავშირეთა ბრძანებებს უნდა დაემორჩილოს“.

მოყვანილი ფაქტები ცხადყოფენ, თუ რატომ გამოიწვია „ამგოტის“ შექმნამ მისი პრაქტიკული მოღვაწეობის დაწყებისთანავე პრინციპული შედავება და ხშირ შემთხვევაში მძაფრი კრიტიკა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრესაში და პოლიტიკურ წრეებში. „ამგოტის“ შექმნა და მისი პრაქტიკა შემთხვევით როდი იწვევენ დავას, როგორც „ამგოტის“ მოღვაწეობის ფაქტიური აღწერიდან და ამ ორგანიზაციის გარშემო წარმოებული პოლემიკიდან იტკვევა, მის დამასასიათებელ ნიშნს შეადგენს ის, რომ „ამგოტი“ ფორმალურად აღიარებს ფაშისტური რეჟიმის ლიკვიდაციას, მაგრამ არ იღებს საჭირო ღონისძიებებს ფაშისტური წყობილების ფაქტიური მოსპობისათვის. „ამგოტის“ მოღვაწეობა არ არის მიმართული ფაშისტური რეჟიმის ლიკვიდაციისაკენ, არსებითად იგი სტოვებს მმართველობის ფაშისტურ აპარატს და საერთოდ ისეთ საწყისებს ემყარება, რომლებსაც დემოკრატიზმის პრინციპებთან საერთო არა აქვს **რა.**

ამასთან ერთად აღსანიშნავია, **რომ** არსებობს ტენდენცია გააფართოონ „ამგოტის“ მოღვაწეობის სფერო. არის ტენდენცია გამოაცალონ „ამგოტი“ „დიდი ევროპული მასშტაბით“. ამას მოწმობს „მოკავშირეთა სამხედრო მთავრობისათვის“ მრავალრიცხოვანი კადრების მომზადება, რასაც ასე ფართოდ მოჰკიდეს ხელი ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ლონდონის რადიო 20 აგვისტოს იუწყებოდა, რომ ამჟამად ინგლისში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ აფრიკაში შექმნილია ხუთი ცენტრი, სადაც მომზადნარეობს „ამგოტის“ კადრების მომზადება.

ევროპის ამა თუ იმ ქვეყნების მიმართ „ამგოტის“ მოღვაწეობის ასეთი გავრცელების წინააღმდეგ გადაჭრით ილაშქრებენ ამ ქვეყნების პრესაში გამოქვეყნებული სტატიები და განცხადებანი. ასე, მაგალითად, ჰოლანდიის გაზეთ „ფრეი ნიდერლანდში“ (ამოდის ლონდონში) 28 აგვისტოს დაიბეჭდა სტატია, რომელიც „ამგოტის“ საკითხთან დაკავშირებით გადაჭრით მიუთითებს:

„არც ერთ გაგებულ ადამიანს აზრადაც კი არ მოუვა, რომ რაიმე ამის მსგავს ლოზუნგს შეიძლება წარმატება ექნეს ჰოლანდიაში, ბელგიაში, საფრანგეთში, დანიაში, ნორვეგიაში...“

რაბატის რადიომ 24 აგვისტოს გადასცა საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარის გამოსვლა ვაშინგტონში. მან შემდეგი განაცხადა:

„საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი ძალაუფლებას გადასცემს დროებითს მთავრობას, რომელიც შეიქმნება მაშინვე როგორც კი განთავისუფლებულ იქნება საფრანგეთი, თუნდაც ნაწილობრივ. ამრიგად, არავითარი უცხოური ადმინისტრაცია, მსგავსად „ამგოტისა“, არ შეიძლება დამყარებულ იქნას საფრანგეთში“.

ყველასათვის ნათელია, რომ ჰიტლერული ტირანიის ლიკვიდაციის შემდეგ საჭირო იქნება გრანდიოზული საშუალებანი და ღონისძიებანი ფაშისტ მძარცველებისაგან გაპარტახებული ქვეყნების ხელახლა აღდგენისათვის. ამ დიდი ამოცანის წარმატებით განხორციელება უეჭველად მოითხოვს დაზარალებული ქვეყნებისა და ხალხებისათვის ფართო დახმარების გაწევას. სერიოზული მნიშვნელობა აქვს ამ დახმარების მეთოდის საკითხს. აღდგენის ამოცანა თვით ამ ქვეყნების ხალხის საქმეა, იგი უნდა განხორციელდეს ხალხების ნაციონალური სუვერენიტეტის და დემოკრატიის პრინციპების დაცვით, რის გატარებისთვისაც იბრძვიან გაერთიანებული ერები.

„მოკავშირეთა სამხედრო მთავრობის“ იდეა და მეთოდები, როგორც უცხოეთის პრესის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიდან გამომდინარეობს, აღნიშნულ პრინციპებს ეწინააღმდეგებიან. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის ცხარე პოლემიკა, რომელიც ამ ორგანიზაციის გარშემო სწარმოებს“.

უდავოა, რომ მოკავშირეთა ჯარების მიერ მოწინააღმდეგის ამა თუ იმ ტერიტორიის დაკავების პირველ პერიოდში ხელისუფლების აღდგენის ამოცანა ეკისრება მოკავშირეთა ჯარების სარდლობას. მაგრამ ამ გამარჯვების შემდგომი განმტკიცების ამოცანა აუცილებლად მოითხოვს, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოვიზიდოთ ადგილობრივი ძალები, რომელნიც დაეხმარებიან მოკავშირეებს მტერთან ბრძოლაში. მტერზე სრული გამარჯვება წარმატებით იქნება მიღწეული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შექმნით, რომელნიც აღმოცენდებიან დემოკრატიულ საწყისებზე და უნარი ექნებათ მტაციად მოიზიდონ ადგილობრივი ძალები მოკავშირეების მხარეზე.



პროფ. კონსტანტინე კაპანელი

გერმანული რეაქცია და ფირანია

გერმანიის ფაშიზმი, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში უკანასკნელი წლების განმავლობაში უდიდესი ზარალი და ნგრევა გამოიწვია, რომელმაც ადამიანთა მილიონები იმსხვერპლა, არ არის შემთხვევითი მოკლენა გერმანიის ისტორიაში: ფაშიზმმა აღადგინა ყველაზე უფრო საზიზღარი და საძაგელი, რაც კი იყო გერმანიის წარსულში. გერმანიის ხალხი ხშირად ყოფილა რეაქციის ზეგავლენისა და პატრონობის ქვეშ.

„ჩვენ ვიზიარებდით,—სწერს მარქსი, — ახალ ხალხებთან ერთად რესტავრაციებს, არ ვიზიარებდით რა მათ რევოლუციებს... ჩვენს მეძღვრებთან ერთად, რომელნიც სათავეში იდგნენ, ჩვენ მუდამ ვიმყოფებოდით თავისუფლების საზოგადოებაში მხოლოდ ერთ შემთხვევაში — **ამ თავისუფლების დასამარების დღეს**“ („მარქსი და ენგელსი რეაქციული პრუსიელობის შესახებ“, გვ. 4-5).

თავისუფლების დასამარებას გერმანელი ფაშისტების წინაპრები ხელს უწყობდნენ ოტონ პირველის დ

სამამულო ომის გმირთა სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა!

ორდენოსანი კაპიტანი გ. ნ. ალექსანდრია

გიორგი ნესტორის-ძე ალექსანდრია დაბადა 1918 წელს ქ. ფოთში მუშის ოჯახში. დაწყებითი განათლება აქვე მიიღო. სრულიად საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელიც დამთავრა 1936 წელს და ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად დანიშნა სოფელ ყულევში. 1937 წ. ალექსანდრია შევიდა ქუთაისის პედაგოგიური სასწავლებლის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დუსწრებელ სექტორზე.

1939 წ. ამხ. ალექსანდრია გაწვეულ იქნა წითელ არმიაში. აქ იგი გულმოდგინედ ეუფლება სამხედრო საქმეს და მალე საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი ხდება.

1940 წელს ალექსანდრია გაგზავნილ იქნა კიევის საარტილერიო სამხედრო სასწავლებელში. სამხედრო სასწავლებელში ყოფნისას მიღებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. დიდმა სამამულო ომმა ალექსანდრიას კიევის სამხედრო სასწავლებელში მოუსწრო. ამხ. ალექსანდრიამ საუცხოოდ ჩაბარა გამოსაშვები გამოცდა და ახალგაზრდა ლეიტენანტი სამამულო ომის სახელოვან მონაწილეთა რიგებში ჩადგა. საბრძოლო ნათლობა ამხ. ალექსანდრიამ დნეპროპეტროვსკში მიიღო. ბრძოლის ფრონტზე მალე გაითქვა სახელი როგორც მამაცმა და უნარიანმა ოფიცერმა. სარდლობამ დაიფასა ახალგაზრდა ოფიცრის წარმატება და მას ბატარიის მეთაურობა მიანდო. ამხ. ალექსანდრიას ცხოვრებაში საბრძოლო ხანა დაიწყო. მამაცმა კომუნისტმა პირველსავე ბრძოლებში სანიმუშოდ შეასრულა სარდლობის საბრძოლო დავალებები. 1943 წ. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე, ხარკოვის მიმართულებით 4 თვეს ვაჟკაცურად იბრძოდა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. აქ მძიმე ბრძოლებში დაიჭრა.

საარტილერიო ბატარიის მეთაურმა კაპიტანმა ალექსანდრიამ თავი ისახელა სტალინგრადისათვის ბრძოლებში. მან მონაწილეობა მიიღო სტალინგრადთან ალყაშემორტყმულ გერმანელ ფაშისტთა განადგურებაში.

მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ამხ. გიორგი ალექსანდრიას მოქმედებას სტალინგრადის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში და იგი დააჯილდოვა უმაღლესი ჯილდოთი — **ალექსანდრე ნეველის** ორდენით და **წითელი ვარსკვლავის** ორდენით. გარდა ამისა, ამხ. ალექსანდრიამ მიიღო მედალი **„სტალინგრადის დაცვისათვის“.**

—ერთხელ სტალინგრადისათვის ბრძოლების დროს, — მოგვითხრობს ამხ. ალექსანდრია, — სარდლობის ბრძანება მივიღე—დილით შეტევა დამეწყო, რომ ამით დანარჩენი ნაწილებისათვის წინსვლა გამეადვილებინა. დავიწყეთ მზადება შეტევისათვის. ყველაფერი რიგზეა. ბატარია საბრძოლო მდგომარეობაშია. მებრძოლები მოუთმენლად ელიან ბრძოლის დაწყებას.

— ცეცხლი!

ქვემეხების პირველი პირდაპირი ზალპი გერმანელთა ტანკს მოხვდა. მეორე ზალპით მწყობრიდან გამოვიყვანეთ გერმანელთა კიდევ ერთი ტანკი. გერმანელთა ტანკებს უკან ავტომატებით შეიარაღებული ჰიტლერელები მოდიოდნენ. მტერი 300 მეტრის მანძილზე მოგვიახლოვდა. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა, რამაც ერთ საათს გასტანა. ჩვენი მებრძოლების მტაცეცა ნებისყოფამ, ბრძოლის ოსტატობამ გასტეხა მტრის წინააღმდეგობა. მტერი უკუიქცა. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. ამ ბრძოლის დროს მწყობრიდან გამოვიყვანეთ გერმანელთა 4 ტანკი, გავუელიტეთ ასზე მეტი ჰიტლერელი, მოვსპეთ ერთი ქვემეხი, რამდენიმე ათეული ნაღმსატყორცნი.

ერთხელ ღამით საცეცხლე პოზიცია დაიკავეს ალექსანდრიას მებრძოლებმა. მათ ისე ოსტატურად მოაწყეს ქვემეხებისა და მათი ადგილსამყოფელის შენიღბვა, რომ ძნელი იყო მისი გამოცნობა. გერმანელმა მზვერავებმა, რომლებიც დაზვერვას ეწეოდნენ, ისე შეპოალწიეს ალექსანდრიას ბატარიამდე, რომ ვერც კი შეამჩნიეს იგი. საბჭოთა არტილერისტებმა სამივე მზვერავი შეიპყრეს.

ამხ. ალექსანდრია ბრძოლის ველზე კიდევ დაიჭრა და ამჟამად მკურნალობს.

ვ. გუჯაბიძე

ორდენოსანი უფროსი ლეიტენანტი დ. ს. სანოძე

ჩვენი დიადი სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლთა რიგებს ეკუთვნის უფროსი ლეიტენანტი დავით სარდიონის-ძე სანოძე. ის დაიბადა 1919 წელს ქ. წულუკიძეში (ყოფილი ქ. ხონში). 1928 წელს დამთავრა შვიდწლედი ქ. წულუკიძეში. 1929 წელს შევიდა ტრაქტორისტთა კურსებზე, რომელთა დამთავრების შემდეგ დაიწყო მუშაობა ტრაქტორისტად. ამ სამუშაოზე 3 წელიწადს მუშაობდა წულუკიძეში და 2 წელიწადს გეგეჭკორის რაიონში. 1935-1938 წლებში სწავლობდა წულუკიძის პედაგოგიურ მუშაკში, თანაც მუშაობდა წულუკიძის რამის ქარხანაში საამქროს გამგის თანამდებობაზე. 1939 წელს გაწვეულ იქნა წითელ არმიაში, სადაც 1941 წლის აგვისტოში დაამთავრა მეთაურთა სკოლა ლეიტენანტის წოდებით. ამ ხნიდან ამხ. სანოძე სამამულო ომის ფრონტზეა და დაუნდობლად ჭლეტს ჰიტლერელ დამპყრობლებს.

ამას წინათ შშობლებისადმი გამოგზავნილ წერილში ამხ. სანოძე მოუთხრობს მათ თავის საბრძოლო წარმატებებზე. ის სწერს: „ერთ-ერთ ბრძოლაში ჩემმა მებრძოლებმა თავი ისახელეს, მეც წარმატებით შევასრულე სარდლობის ბრძანება. ამ დღეს კარგად ვინადირე ჰიტლერელებზე, რომლებიც ნაძვის ხეებზე ასულიყვნენ, ძალიან შენიღბულიყვნენ და ავტომატების ძლიერი ცეცხლით ცდილობდნენ არეცა შეეტანათ ჩვენს საბრძოლო განლაგებაში, შეეჩერებინათ ჩვენი წინსვლა. მე ისინი აღმოვაჩინე და ქვემეხის სნაიპერული ცეცხლის რამდენიმე ჯერით უკლებლივ „ჩამოვრეკე“ ხეებიდან. ამ ბრძოლაში მარჯვენა მკლავში დავიჭერი. მალე განვიკურნები და კვლავ წავალ ფრონტზე გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად. თქვენ და მეზობელ კოლმეურნეებს გთხოვთ ნაყოფიერად იმუშაოთ კოლმეურნეობაში, რაიზ მზარდი დახმარება ვაუწიოთ წითელ არმიას. მე ჩემ წილად ვლებულობ ვალდებულებას ვიომო ისე, რომ ვმუსრო ფაშისტთა ბანდა ათობით და ასობით. უკვე უფროსი ლეიტენანტი ვარ და ვიბრძვი ახალი საბრძოლო წარმატებისათვის“.

მთავრობამ ღირსეულად დააფასა ამხ. დ. სანოძის სახელოვანი ბრძოლა. გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის უფროსი ლეიტენანტი დავით სარდიონის-ძე სანოძე ხსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულია **ალექსანდრე ნეველის** ორდენით.

კ. ცაცუა

ორდენოსანი გვარდიის პოდპოლკოვნიკი ნ. ავაქოვი

ნიკოლოზ გრიგოლის-ძე ავაქოვი დაბადა 1903 წელს ქ. თბილისში, დურგლის ოჯახში. ამხ. ავაქოვმა მშობლები ადრე დაკარგა. უკვე 14 წლის ნიკოლოზმა დაიწყო მოჯამაგირედ მუშაობა. 1921 წელს შევიდა კომკავშირის რიგებში. 1923 წლიდან მუშაობდა რკინიგზაზე, ხოლო შემდეგ შევიდა თბილისის საფეიქრო ფაბრიკაში, სადაც მუშაობდა 1928 წლამდე. 1925 წელს მიღებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. ფაბრიკაში მუშაობის დროს წარმოებიდან მოუწყვეტლად დამთავრა ცენტრალური პარტსკოლა. 1928 წელს გაგზავნილ იქნა სამუშაოდ ახალქალაქის მაზრაში სამაზრო პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარედ. 1930-დან 1931 წლამდე მუშაობდა სოფლის მეურნეობის მუშათა კავშირის პასუხისმგებელ მდივნად. 1931-დან 1932 წლამდე მუშაობდა მოსკოვში სოფლის მეურნეობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აგიტმასობრივი სექტორის გამგედ. 1933 წელს გადმოყვანილ იქნა საქართველოში საკ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის აგიტმასობრივი განყოფილების გამგედ. 1936 წელს არჩეულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ბაშკირეთის რაიკომის ჯერ მეორე მდივნად, ხოლო შემდეგ პირველ მდივნად, სადაც მუშაობდა სამამულო ომის დაწყებამდე.

ჯერ კიდევ თებერვლიდან წინააღმდეგ ბრძოლების დროს ამხ. ავაქოვმა შეიტანა განსაზღვრული ფრონტზე გაგზავნის შესახებ. სამამულო ომი რომ დაიწყო, ამხ. ავაქოვმა კვლავ რამდენჯერმე ითხოვა ფრონტზე გაგზავნა. ბოლოს, 1941 წლის შემოდგომაზე, მისი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა და იგი ჩარიცხულ იქნა წითელი არმიის რიგებში.

სარდლობის დავალებით ოფიცერთა ჯგუფი—გვარდიის მაიორი სუბოტინი, გვარდიის მაიორი ბოროვკოვი და გვარდიის კაპიტანი ვოლკოვი ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში სწერდნენ, რომ ამხ. ავაქოვმა, ნაწილში მისვლისთანავე, დიდი მუშაობა გაშალა მებრძოლთა და მეთაურთა აღსაზრდელად, მათ მოსამზადებლად მომავალი ბრძოლებისათვის. მოკლე ხნის განმავლობაში მან ისეთი ავტორიტეტი დაიმსახურა, რომ მას იცნობდა ყოველი მებრძოლი, ყოველი მეთაური.

„მაგრამ, აი, მოვიდა საბრძოლო ბრძანება და ჩვენც ჩავებით ბრძოლაში, — სწერენ ისინი. — ბრძოლების პირველი დღეებიდანვე ამხ. ავაქოვი მოწინავე ხაზზე იყო და დარჩა იქ ოპერაციის ბოლომდე.

თავისი მაგალითით იგი აღაფრთოვანებდა მებრძოლებსა და მეთაურებს საგმირო საქმეებისათვის. თვითონ ავაქოვი მტკიცე, გაბედული და მამაცი მეთაური. საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი, რაც მოწმობს მის საბრძოლო თვისებებს.

ამხ. ავაქოვმა წაიყვანა 20 წითელარმიელისაგან შემდგარი ჯგუფი და ტყვედ ჩაიგდო მოწინააღმდეგის 320 ჯარისკაცი და ოფიცერი იარაღიანად და საომარ მასალიანად. მან პირადად მოსპო 5 ჰიტლერელი.

ქალაქ კს აღების დროს პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მებრძოლებს და მათთან ერთად იმყოფებოდა.

ერთხელ საჭირო იყო მოწინააღმდეგისათვის არტილერიის დაშენა. ბატარიასთან კავშირი გაწყვეტილი იყო. გარშემო სკდებოდა მოწინააღმდეგის ნაღმები და ყუმბარები. საჭირო იყო ბატარიისათვის ცნობის გადაცემა ცეცხლის დაშენის დაწყების შესახებ. საფრთხის მიუხედავად, მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ ამხ. ავაქოვი მანქანით წავიდა ბატარიისაკენ. მტრის ყუმბარების ნამსხვრევები რამდენიმე ადგილს მოხვდა მანქანას. მაგრამ ამხ. ავაქოვი უვნებელი დარჩა და ამოცანა შეასრულა. ბატარიამ დაუშინა მტერს, რითაც ბრძოლის ბედი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდა.

ბრძოლის მსვლელობის ხელმძღვანელობასთან ერთად ამხ. ავაქოვი არ სწყვეტდა პარტიულ მუშაობასაც. ბრძოლის ველზე გრძელდებოდა პარტიაში მიღება, პარტიაში შესულთ ეძლეოდათ პარტიული ბილეთები, ტარდებოდა საგიტაციო-მასობრივი მუშაობა.

ამხ. ავაქოვის მთელი ეს უდიდესი მუშაობა შეაფასა სარდლობამ, პარტიამ და მთავრობამ. ამხ. ავაქოვს მიენიჭა გვარდიის მაიორის წოდება და „წარდგენილ იქნა წითელი დროშის ორდენზე“.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის გვარდიის მაიორი ნიკოლოზ გრიგოლის-ძე ავაქოვი დაჯილდოებულია **წითელი დროშის** ორდენით.

ამხ. ავაქოვი სტალინგრადის განთავისუფლების გმირული ეპოპეის მონაწილეა, რისთვისაც მიღებული აქვს მედალი **„სტალინგრადის დაცვისათვის“.**

დახასიათებაში, რომელიც ამხ. ავაქოვს მიეცა წითელი ვარსკვლავის ორდენზე წარსადგენად, ნათქვამია: გვარდიის პოდპოლკოვნიკ ავაქოვს მიეცა ბრძანება დარჩეს ხურგის მოწინავე ჯგუფთან მისი უშუალო ხელმძღვანელობისათვის.

ბრძოლების დროს ამხ. ავაქოვი პირადად ხელმძღვანელობდა ზურგს, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელეებისა და მოწინააღმდეგის ავიაციის თავდასხმებისა, შეუფერხებლად ამარაგებდა ბრძოლას საომარი მასალით, საწვავით და სურსათით.. ჰამაცობის გამოჩენისათვის ღირსია დაჯილდოებულ იქნას წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ამხ. ავაქოვი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ წითელი არმიის ზაფხულის შეტევებში.

ნ. ილოშვილი

მამაცი ქართველი მეომრები

მეტყვიამფრქვევე მეთოდე დავითის-ძე ფრუიძე დიდი ხანი არ არის, რაც მოვიდა წითელი არმიის რიგებში ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭყვიშიდან, მაგრამ უკვე მამაცი და მოხერხებული მებრძოლის სახელი დაიმსახურა. რამდენიმე ხნის წინათ ნ მაღლობისათვის ბრძოლებში, მტრის რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, მან შესძლო თავისი ტყვიამფრქვევით შეეჩერებინა მტერი და შემდეგ კიდეც უკუეგდო იგი. მრავალი მოკლული და დაჭრილი დაატოვებინა ფრუიძემ გამხეცებულ ფაშისტებს ბრძოლის ველზე.

ამხ. ფრუიძე ერთ-ერთ ბრძოლაში დაიჭრა, მაგრამ განკურნებისთანავე დაუბრუნდა თავის ტყვიამფრქვევს და კვლავ მუსრს ავლებს მტრის ხროვას.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის მეოთდე დავითის-ძე ფრუიძე დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

ივანე კონსტანტინეს-ძე შვანგირაძე უკვე ორი წელია, რაც ჩვენს ნაწილშია. იგი წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი წევრია. სამამულო ომის განმავლობაში მან მრავალი ფრიცი გამოასალმა წუთისოფელს. ამხ. შვანგირაძე განთქმულია იმით, რომ მოხერხებულად გამოპყავს ბრძოლის ველიდან მძიმედ დაჭრილები. ივანე კონსტანტინეს-ძე შვანგირაძე დაჯილდოებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

ლეიტენანტი ვ. ჩიქოვანი

მოქმედი არმია.

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტი. საბრძოლო პირობებში მტრის ნაღმების წარმატებით ამოღებისათვის, ქარავანთა ბადრაგობისათვის ნ ხომალდს გვარდიული ხომალდის სახელწოდება მიენიჭა. სურათზე: პარავან-ტრალის ჩაშვება საბრძოლო ლაშქრობისას.

ფოტო ბ. ლოსინისა (საკ.ფოტოქრონიკა).



ქალაქ კრასნოდონის. გმირულად დაღუპულ იატაკქვეშელ კომკავშირელებს

ვიმღერეთ თავდადებულთა
საქმენი გასაკვირი.
ვწერ გაიტყორცნა სახელი
ხუთ კრასნოდონელ გმირის.
ისინიც ტკბილი სიმღერით
ეწირებოდნენ მამულს,
არ უჩვენებდნენ ჯალათებს
თვალებს ცრემლებით ნამუოლს.
ძმაო მგოსანო, თუ გინდა
დაგრჩეს სიმღერა მარად,
მათი გმირობის საქებად
არ დაიშურო ძალა.
თუ გინდა, ყალმის ოსტატო
ხალხი გიქებდეს სურათს,
ნაირფერებით ამკობდე
ხუთ კრასნოდონელ გულადს.

როცა მინელდა ქალაქში
ხანძარი სასტიკ ომის
და ფაშისტების ბრბყალებში
მოექცა კრასნოდონი,
მაღაროელთა ქალაქი
აივსო სისხლის ღვარით,
აღარ ბოლავდნენ მილები,
შესწყდა საყვირთა ხმანი.
ფაშისტის ჩექმამ გათელა
სიცოცხლის ნიშანწყალი
და დარჩა მშობელ ქალაქში
ფერფლი და ნახანძრალი.
მაგრამ შიშით და მათრახით
ხალხს როგორ დაიმონებ,
მახვილქვეშ როგორ მოდრეკავ
გულამაუ კრასნოდონელს?!..
თითქოს დადიან ქალაქში
უჩინ-მაჩინის ქუდით,
პატივს არ სცემენ „ფიურერს“
არც „სს“-ელთა მუნდირს.
მათ კრასნოდონის უმთვარო
ღამე ჰყავთ მოიმედეთ.
ჰიტლერზე მწარე დაცინვით
აფერადებენ კედლებს.
თეატრშიც, როცა დარბაზი
ფარდის აწევას უცდის,
თითქოს ცით გადმოეშვება
თეთრი მტრედების გუნდი,
ბოლშევიკური ფურცლები
იმედის სიოს მობერს, —
ხალხი კითხულობს საბჭოთა
ინფორმბიუროს ცნობებს.
იმ გმირთა ხელი ფარული
კვლავ შურისგებას ეძებს,
სწვავენ ფაშისტთა საწყობებს
ცეცხლს უკიდებენ ბეღლებს.
დე ირბინოს ყანდარმმა
რამდენიც უნდა ხურდეს...
დაიხურავენ გმირები
უჩინ-მაჩინის ქუდებს.

ერთხელ კრასნოდონს მწუხარე
ამბავი მოეფინა.
აღმოეჩინათ ჯალათებს
გმირთა ფარული ბინა.
— ოცით ვინ გვყავდნენ ქომაგად?
— ისმოდა ხალხის ხმაში. —
პირველი—ჩვენი ოლეგი,
მაღაროელის ვაჟი,
მეორე—ტიულენინი
და ივან ზემნუხოვი,
ქვა ატირდება უსულო
მათი დედების გლოვით.
შევცოვაც მათთან ყოფილა,
მტერს დახვდა თურმე როგორ...
და ულიანა გრომოვაც,
ის მხიარული გოგო.
მათ კომკავშირი ფარულად
ხელახლა შეუქმნიათ,
აწყობდნენ მშობელ მხარეში
წითელი დროშის ფრიალს.
ქალაქის ახალგაზრდობაც
მიზღვავებულა ჩუმად.
რას მიიტანდა მტარვალი
მოწაფეებზე გუმანს...
სტამბაც გამართეს დღედაღამ
სარდაფში მოგუგუნე.
დიდი სტალინის სიტყვები
ასე გავრცელდა თურმე.

და როცა ხალხი ჰყვებოდა
გმირთა საკვირველ ამბებს,
წამების ცეცხლზე სტანჯავდნენ
ძმადნაფიც ამხანაგებს.
რას არ ხმარობდა ჯალათი,
ცეცხლსა თუ მხურვალ რკინას,
მაგრამ წარბშეკრულ მებრძოლებს
სიტყვა ვერ ათქმევინა.
ასე შესწირეს სიცოცხლე
სამშობლოს დიად სახელს
და იმ წამებულ სიკვდილით
თვით უკვდავება ნახეს.

ამბობენ, როცა კრასნოდონს
დაეუფლება ძილი,
ქალაქის თავზე ადგება
იმ ხუთი გმირის ჩრდილი.
თვალთან ხელს მიიფარებენ
და გასაქერიან წყნარად.
მათ შორის მოხჩანს ოლეგიც.
სახეზე შუქი ჰფარავს.
გაჰხედავს, დასავლეთისკენ
ცა ელავს ათასფერად.
— ეს მტერს უტევენ ჩვენები,
მათი ხიშტები ელავს! —
იტყვის ნთელი ღიმილით
ლანდი პატარა გმირის,
და მთვარის შუქზე რიგ-რიგად
ჰქრება ხუთივე ჩრდილი.

იოსებ ნონეშვილი

1943 წ. 10 ოქტომბერი.

ოქრომლები თრონგიდან

მებრძოლთა გაბედული მოქმედება

უფროს სერჟანტ კვესელავას ოცეული გერმანელთა გამაგრებულ მაღლობს უტევდა. მაღლობის აღების ყველაზე ხელსაყრელი საშუალება მისთვის მარჯვნიდან დარტყმა იყო, მაგრამ ჩვენი მებრძოლების წინსვლას გერმანელთა დაზგის ტყვიამფრქვევის ცეცხლი აფერხებდა.

ამხ. კვესელავამ გამოჰყო გულად მებრძოლთა ჯგუფი სერჟანტ სულაძის მეთაურობით, რომელშიაც შედიოდნენ მებრძოლები დოლაბერიძე, მაღლაკელიძე და ოთარაშვილი. ამ ჯგუფს მიეცა ამოცანა: ფარულად მიახლოვებოდნენ გერმანელთა ტყვიამფრქვევის ბუდეს და გაენადგურებინათ იგი.

ჯგუფი გაბედულად შეუდგა ამოცანის შესრულებას და ფარულად მიუახლოვდა მოწინააღმდეგის სატყვიამფრქვევო - საცეცხლე წერტს. ჰიტლერელებმა სწორედ ამ დროს შენიშნეს ისინი და გრიგალისებური ცეცხლი დაუშინეს. ჯგუფის მეთაური სერჟანტი სულაძე დაიჭრა, მეთაურობა მებრძოლმა დოლაბერიძემ იკისრა და ხელჩართული ბრძოლა გაუმართა ფაშისტებს. ხანმოკლე, მაგრამ სასტიკი შეტაკების შემდეგ ფაშისტთა ტყვიამფრქვევის ბუდე განადგურებულ იქნა. ამ შეტაკების დროს პირადად დოლაბერიძემ მოჰკლა ორი ფაშისტი.

ჯგუფმა ამოცანა სასახელოდ შეასრულა. ჰიტლერელთა ტყვიამფრქვევის განადგურების შემდეგ ოცეული იერიშზე გადავიდა და მაღლობი დაიკავა.

მებრძოლი საკანელიძე

პარგორგის წინამძღოლობით

მოწინააღმდეგეს ორი ქვემეხი მოხერხებულად შეეხამებინა და ძლიერი ცეცხლით ხელს უშლიდა ჩვენი ქვეგანაყოფის წინსვლას. საჭირო იყო მტრის საცეცხლე წერტილების აღმოჩენა და მოსპობა.

ამოცანის შესრულება ქვეგანაყოფის პარტორგს, ათეულის მეთაურ ამხ. ჯემალ ჩხაიძეს უბრძანეს. ჩხაიძემ გამოჰყო მეავტომატეთა ჯგუფი, კარგად დაზვერა მტრის განლაგების რაიონი და ფარულად შეიპარა ქვემეხის საცეცხლე პოზიციის უბანზე.

— ჩვენ მოხერხებულად შემოვეპარეთ არამზადა ფაშისტებს, მაგრამ მთავარი ახლა ის არის, რომ მეტი ვამბედაობა და ვაუკაცობა გამოვიჩინოთ. ჩემ მიერ გასროლისთანავე ყველამ ასტეხეთ სროლა და რაც შეიძლება მეტი იხმაურეთ,—ასე დაარიგა პარტორგმა მებრძოლები.

ჩხაიძემ მტრის ქვემეხების გუნდებს ზურგიდან შემოუარა და ცეცხლი დაუშინა. სწორედ ამას ელოდნენ მეავტომატეები და მათაც რამდენიმე მხრიდან ცეცხლი დააყარეს.

მოულოდნელობისაგან მტრის ქვემეხების გუნდები აირივნენ, ასტეხეს უწესრიგო სროლა და შეშინებულებმა მოჰკურცხლეს. სათ ორივე ქვემეხი და რამდენიმე გეამი დასტოვეს საცეცხლე პოზიციაზე.

ასე ვაკაცურად და მოხერხებულად იმოქმედა ჩვენმა მეავტომატეთა ჯგუფმა პარტორგ ჩხაიძის მეთაურობით.

მებრძოლი წულაძე

მამაცი მეკავშირეები

ქვეგანაყოფის მეთაურმა მებრძოლ ვასილ სპანდარაშვილს გამოუძახა, მებრძოლები დავით კალაბრიშვილი, სოკო კაკაშვილი და აბრამ ციციშვილი ჩაბარა და უბრძანა:

— მტრის ნაღმსატყორცნების ცეცხლისაგან ქვეგანაყოფებს შორის სატელეფონო კავშირი ხშირად წყდება. თქვენ უნდა უზრუნველჰყოთ სატელეფონო კავშირის შეუწყვეტელი მუშაობა.

ვასილ სპანდარაშვილმა ბრძანება გაიმეორა და სასწრაფოდ შეუდგა შესრულებას.

არ გასულა დიდი ხანი, რომ გაგზავნილი მებრძოლები დანიშნულ ადგილზე გაჩნდნენ.

სატელეფონო ხაზი ვიწრო ხეივანში გადიოდა. აქ სხვა შემოსასვლელი არ იყო. მტერიც სწორედ ამ ადგილს იღებდა ორიენტირად და ნაღმსატყორცნის ძლიერი ცეცხლით სატელეფონო ხაზს ხშირად სწყვეტდა.

მაგრამ მამაცი მეკავშირეების თავდადებული და მამაცური მუშაობის შედეგად ქვეგანაყოფს კავშირის შეწყვეტა არ უგრძნია. ვასილ სპანდარაშვილმა თავისი თანამებრძოლებით სატელეფონო კავშირი მოწინააღმდეგის ნაღმსატყორცნთა ძლიერი ცეცხლის ქვეშ ერთი საათის განმავლობაში ათჯერ აღადგინა.

მებრძოლი ს. სეფიაშვილი

ზემდეგ გვასალიას თავდადება

შეტევის დაწყებამდე კიდევ რამდენიმე წამი დარჩა. ზემდეგმა გიორგი გვასალიამ ყველა მებრძოლს ჩამოურბინა, გამოესაუბრა, საბრძოლო იარაღის მზადყოფნა შეამოწმა.

შეტევა დაიწყო. ქართველ მებრძოლთა ჯაბედულმა წინსვლამ ფაშისტები საგონებელში ჩააგდო. უშიშარი გვასალია მებრძოლებში დაჰქროდა და თავისი ომახიანი შეძახილებით ამხნევებდა.

გააფთრებული ბრძოლის დროს გიორგი გვასალია ფეხში დაიჭრა.

— არა, მე ჩემს მებრძოლებს ვერ მოვშორდები,—ბრძანებდა მან, როცა მას საექიმო პუნქტში წასვლა უთხრეს.

გვასალია, მიუხედავად მძიმე ტკივილებისა, დახმარებას უწევდა დაჭრილ მებრძოლებს და გაჰყავდა ბრძოლის ველიდან.

ზემდეგ გვასალიას პირადი მაგალითით აღფრთოვანებული ჩვენი მებრძოლები მედგრად ურტყამდნენ მოწინააღმდეგეს.

გიორგი გვასალია მამაცობის გამოჩენისათვის წარდგენილია მთავრობის ჯილდოზე.

ლეიტენანტი თვალაბეიშვილი

ლ. ჯანჯღავას გონივრული მოქმედება

ასეულის პარტორგი სერჟანტი ლავრენტი ჯანჯღავა შეტევის წინ ყველა კომუნისტს ესაუბრა, შემდეგ თავისი ათეულის ყველა მებრძოლს საბრძოლო ამოცანა გააცნო და ინერციის მზადყოფნა შეამოწმა.

შეტევა დაიწყო. უმცროსი მეთაურის პირადი მაგალითით წაბალისებული მებრძოლები მედგარი დარტყმით ანადგურებდნენ მტერს. ჯანჯღავამ მიერ შეტევის გონივრულად მოწყობის შედეგად მისი ათეულის მებრძოლებმა სძლიეს მტრის წინააღმდეგობა, შეიჭრნენ მის განლაგებაში და გამოიყვანეს ჰოწინააღმდეგის რკალში მოქცეული ჩვენი ოთხი მებრძოლი.

კომუნისტი ლავრენტი ჯანჯღავა შეტევიაი ბრძოლის დროს მამაცობისა და გამბედაობის გამოჩენისათვის წარდგენილია მთავრობის ჯილდოზე.

ზემდეგი კონსტანტინე ჩარკვიანი

მებრძოლმა ჯავახიშვილმა ჯილდო მიიღო

ამ დღეებში ამხ. გორგიშვილის ქვეგანაყოფის დაჯილდოებულ ოფიცერთა, სერჟანტთა და მებრძოლთა ჯგუფს საზეიმო ვითარებაში გადაეცა საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები.

დაჯილდოებულთა შორის არის მებრძოლი **კოტე ჯავახიშვილი,** რომელიც დაჯილდოებულია მედლით **„მამაცობისათვის“,**

ამხ. ჯავახიშვილის დაჯილდოებით ვამაყობთ მთელი ქვეგანაყოფი. ის თელავის რაიონის სოფ. იყალთოს კოლმეურნეობის წევრია. ომის დაწყებამდე სტახანოველ ტრაქტორისტად ითვლებოდა. ომის დაწყების შემდეგ კი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ მრავალი ბრძოლების ჩაბარებლი.

სერჟანტი ვ. ...შაძე

თანასოფლელები მიესალმებიან გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძეს

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). უსაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძანებას გერმანელი ოკუპანტებისაგან ტამანის ნახევარკუნძულის მთლიანად განთავისუფლების შესახებ დიდი სიხარულით შეხვდნენ მახარაძის რაიონის მშრომელები. ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის ბრძოლების სახელოვანი მეთაურის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძის სამშობლო სოფლის — ხვიბათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში 12 ოქტომბერს გაიმართა ამ სასიხარულო ცნობისადმი მიძღვნილი მიტინგი.

წითელი არმიის გმირული წარმატებებით აღფრთოვანებულმა კოლმეურნეებმა გადასწყვიტეს მისალმება გაუგზავნონ მათი კოლექტივის სახელოვან შვილს, სუვოროვისა და კუტუზოვის ორდენების კავალერს გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძეს.

კოლმეურნეები თავიანთ წერილში, რომელსაც ხელს აწერენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ყალიჩავა, საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანი ლ. მგელაძე, ბრიგადირები—ბ. რუსეიშვილი, გრ. მუჯირი, შ. ქუტიძე, მ. მიქატაძე, სტახანოველები—ელენე ტაკიძე, ნინო თავბერიძე, თინა გურგენიძე, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძეს სწერენ:

„ჩვენ, შენი სამშობლო სოფლის კოლმეურნეებს, გმირული შრომისათვის აღგვაფრთოვანებს თქვენი სახელოვანი წარმატება. ჩვენი კოლმეურნეობის წევრები ფრონტული ოავდადებით მუშაობენ სახელოვანი მეომრების დასახმარებლად. წელს ერთნახევარჯერ მეტი მოსავალი მივიღეთ, ვიდრე შარშან. ყველა სახელმწიფო ვალდებულება სამი თვით ადრე—1 ოქტომბრისათვის შევასრულეთ. ვადაზე ადრე შევასრულეთ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება, გეგმის ზვით ვკრეფთ 5 ათას კილოგრამ ფოთოლს. ჩვენი კოლმეურნეობის წევრებმა წელს თავდაცვის ფონდში შეიტანეს 240 ათასი მანეთი, 400 კილოგრამი ხორცი და სხვა პროდუქტები. ვეხმარებით ფრონტელთა ოჯახებს.

ჩვენი მეზობლები შალვა აბაშიძე, მიხეილ რუსეიშვილი, აკაკი თოიძე, მიხ. ლესელიძე და მრავალი სხვა სასახელოდ იბრძვიან გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ.

ჩვენ უსაზღვროდ გვიხარეს, რომ ტამანის ნახევარკუნძული განთავისუფლებულია. ჩვენი კოლმეურნეობის წევრები გილოცავენ ამ სახელოვან წარმატებას და გისურვებენ ახალ-ახალ გამარჯვებებს სამშობლოსათვის, დიდი სტალინისათვის!“.

ლ. ლოლაძე

საერთაშორისო თემაზე

(შენიშვნები)

პირსონის გამოსვლის უარყოფა

ამერიკელმა უურნალისტმა დრიუ პირსონმა, თავის დროზე გახმაურებული წიგნის „ვაშინგტონის კარუსელის“ ავტორმა, თავის 29 აგვისტოს რადიომიმოხილვაში მკვეთრად გაილაშქრა ა. შ. შ. სახელმწიფო დეპარტამენტის (საგარეო საქმეთა სამინისტროს) მიმართ. შეეხო რა ცნობებს ა. შ. შ. სახელმწიფო მდივნის მოადგილის უელესის გადადგომის შესახებ, პირსონმა განაცხადა, რომ უელესის გადადგომის შემდეგ „სახელმწიფო დეპარტამენტში აღარ რჩება არც ერთი მნიშვნელოვანი პირი, რომელიც საბჭოთა კავშირის მიმართ მეგობრულად იყოს განწყობილი. ჰელის და მისი მთავარი თანაშემწეების ბერლის, დენისა და ლონგის ნამდვილი სურვილი იქნებოდა იხილონ, რომ რუსეთი სისხლისაგან დაიცალოს...“ ამ გამოსვლაში, აგრეთვე შემდგომ თავის განცხადებებში პირსონი იხსენიებდა ზოგიერთ ფაქტს, როგორც მაგალითად, ხანგრძლივი დროის მანძილზე საბჭოთა წარმომადგენლის არდაშვებას ჩრდილოეთ აფრიკაში, შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა იმ გემების დაკავებას, რომლებიც თავის დროზე ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან ჩავიდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, და ა. შ.

პირსონის განცხადებამ ერთგვარი ყურადღება მიიპყრო. ძალიან მალე იგი ოფიციალურად უარყოფილ იქნა ამერიკის პოლიტიკის ხელმძღვანელების მიერ. ა. შ. შ. სახელმწიფო მდივანმა კორდელ ჰელმა, რომელიც 30 აგვისტოს პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა, პირსონის მიერ მის და მისი თანაშემწეების წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს „საშინელი სიცრუე“ უწოდა. „ჩვეულებრივად მე

უღრმო დისკუსია

იტალიის კაპიტულაციის შემდეგ ინგლისის პრესა შეუდგა იმ საკითხის განხილვას, თუ როგორ მოვექცეთ მუსოლინის. გაზეთმა „დეილი ექსპრესმა“ უაღრესად დაწვრილებით გადმოსცა მუსოლინის გასამართლებას მომავალი პროცედურა:

„მას შემდეგ, რაც იგი გადაცემულ იქნება მოკავშირეთა ხელში, იგი ინტერნირებული იქნება როგორც სამხედრო ტყვე და მას ერთ-ერთ მოკავშირე ქვეყანაში სასტიკ პატიმრობაში იყოლიებენ მანამდე, სანამ სასამართლო პროცესი მომზადდებოდეს. შემდეგ (შესაძლოა არა უადრეს ომის დამთავრებ[illegible]) იგი წარსდგება ყველა ქვეყნის იურისტებისაგან შემდგარი სასამართლოს წინაშე ბრალდებით მრავალრიცხოვან ბოროტმოქმედებაში. ეს იქნება ერთ-ერთი პროცესი ნაგარაუდევ სასამართლო საქმეთა გრძელი სერიიდან. საეჭვოა შესაძლო იყოს, რომ სასამართლოს ნაფიცი მსაჯულები დაესწრონ“ და სხვ. და სხვ.

მეორე ინგლისური გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ აღნიშნავდა, მუსოლინის გასამართლება იტალიაში ეოხდებაო. „საჭირო არ არის,—სწერდა გაზეთი,—შევუდგეთ ნაადრევ მზადებას. ამ მზადებას განახორციელებენ დიდი ხნის შეჭნილი ადმინისტრატიული და პოლიტიკური ორგანოები, რომლებიც ინგლის-ამერიკის ჯარებს მიჰყვებიან“.

როგორც ცნობილია, მუსოლინის ბედის ამ აუჩქარებელ და დაწვრილებით განხილვაში სრულიად მოულოდნელად ჩაერია რაზმი სს-ელი პარაშუტისტებისა, რომლებმაც გაათავისუფლეს ნაცადი ყაჩაღი და შესაძლებლობა მისცეს მას კვლავ ლუპოს აუარაცხელი ადამიანის სიცოცხლე. ერთხელ კიდევ—უკვე მერამდენედ ომის მანძილზე!—დადასტურდა, რომ არ შეიძლება სტატეებს დავჯერდეთ იქ სადაც საჭიროა დაუყოვნებლივი და გადამწყეტი მოქმედება.

(„ვოინა ი რაბოჩი კლასს“, № 8).

ამერ-კავკასიის სპარტაკიადა

სომხეთის სსრ დედა-ქალაქში ერევანში 6-დან 9 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა ამიერ-კავკასიის ფიზკულტურელთა ტრადიციული სპარტაკიადა, რომელშიც კონკურსს გარეშე მონაწილეობდნენ მოსკოველი მძლეოსნები და მოსკოვის „ცდკას“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი.

სპარტაკიადის პროგრამაში იყო: ფეხბურთი, კალათბურთი, ცურვა, მძლეოსნობა, ხელჩართული ბრძოლა და გასამხედროებული ქვეითი გადასვლა 8 და 5 კილომეტრზე.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა აზერბაიჯანის გუნდი დაამარცხა ანგარიშით—3:0, ხოლო სომხეთის გუნდთან ოამაში ფრედ (3:3) დაამთავრა და დაიკავა პირველი ადგილი.

კალათბურთში (ქალთა) პირველ ადგილზე გამოვიდა აზერბაიჯანი, მეორეზე—საქართველო ცურვაში პირველი ადგილი დაიკავა აზერბაიჯანმა, მეორე — სომხეთმა. მძლეოსნობაში გამარჯვება წილად ხვდა საქართველოს, მეორე ადგილზე სომხეთი. ხელჩართულ ბრძოლაში და გასამხედროებულ ქვეით გადასვლაში გაიმარჯვეს სომხეთის სპორტსმენებმა.

სპორტის ცალკეულ სახეობაში პირველი ადგილები დაიკავეს სპორტის ოსტატმა ქალმა ვანკერმა (ბაქო), რომელმაც გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში დაამყარა საკავშირო რეკორდი (158 სანტიმეტრი), სპორტის ოსტატმა ორდენოსანმა ლ. გოკიელმა (რბენა 100 და 400 მეტრზე), გამორბენით სიგრძეზე ხტომა), სპორტის ოსტატმა, მსოფლიო რეკორდსმენმა ნ. დუმბაძემ (ბადროს ტყორცნა), ბათუმელმა მკურავამა კალანდაძემ (გასამხედროებული ცურვა 50 მეტრზე, ცურვა თავისუფალი სტილით 400 მეტრზე), თბილისელებმა ლეგკოვმა, ლეიტენანტმა ნიჩკინმა და სერჟანტმა ვანეევმა.

შეჯამებული საერთო შედეგების მიხედვით პირველი ადგილი მოიპოვა საქართველომ, რომელსაც გადაეცა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის გარდამავალი დროშა. მეორე ადგილზეა სომხეთი, მესამეზე —აზერბაიჯანი.

შეჯიბრება ველოსპორტში

ლენინურ - სტალინური კომკავშირის 25 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი 17 ოქტომბერს ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის ველო-სტადიონზე აწყობს ველოსიპედისტთა შეჯიბრებას.

შეჯიბრების მრავალფეროვან პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის საუკეთესო ველოსიპედისტები: სსრ კავშირის ჩემპიონები — სპორტის ოსტატები ვ. ბატალინი, ზ. დიაკონოვა, თ. ტარაჩკოვი, ექსჩემპიონი ი. იპოლიტოვი, სპორტის ოსტატები გ. უსოვი, მ. ვასილიევი და სხვ.

საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სსრ ჩემპიონები — სპორტის ოსტატი ი. სტეპანოვი, საკაძე, საფრონოვი, ბაბაჯანოვი, საქართველოს რეკორდსმენი ბუგიანაშვილი, უძველესი ველოსიპედისტი, არაერთგზისი ჩემპიონ ნ. გაბრიელოვი, მოტორისტ-ლიდერები — სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი გ. ლეჟავა, ამბარცუმოვი, ველოსიპედისტები მოსესოვი და სედაში.

დასაწყისი 12 საათზე.

ვურჯაანის საკოლმეურნეო მინდვრებზე უხვ სამხედრო მოსავალს იღებენ

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ: გურჯაანის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი **კატუშა ზიუკაშვილი** მოხავლიანი 4 შვილი ფრონტზე ჰყავს, ყურძნის ახალი მოსავლით; სოფ. კარდანახის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირი **ლ. დოლენჯაშვილი** თამბაქოს ავანგებით.

ფოტო რ. აკოფოვისა

თბილი ნივთები წითელ არმიისათვის

თელავი („კომუნისტის“ საკ. კორ.). წითელ არმიის გმირული შეტევით აღფრთოვანებული თელავის რაიონის მშრომელები სიხარულით აგროვებენ თბილ ტანსაცმელს ფრონტელებისათვის გასაგზავნად. დღემდე შეგროვილია 3.850 წყვილი წინდა და 1.780 წყვილი ხელთათმანი. გარდა ამისა, თბილი ტანსაცმლის შესაძენად შეგროვებულია 397.722 მანეთი.

ქისტაურელმა კოლმეურნეებმა ფრონტელებისათვის შეაგროვეს 323 წყვილი წინდა, 108 წყვილი ხელთათმანი და 27.000 მანეთი ფული, დუისის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობათა წევრებმა — 329 წყვილი წინდა და ხელთათმანი, 30.000 მანეთი ფული, ახმეტის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეებმა 490 წყვილი წინდა და ხელთათმანი. ამ საქმეში თავი ისახელეს აგრეთვე მაღრაანის, შალაურის, ჯოყოლოს და სხვა სასოფლო საბჭოებმა.

ს. ქოჩლაძე

გურჯაანი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა გმირი წითელი არმიის სახელოვანი მებრძოლებისათვის უკვე შეაგროვეს 3.086 წყვილი წინდა და 2.200 წყვილი ხელთათმანი. დიდი ხელოსნი აგროვებენ თბილ ნივთებს ყანდაურის სასოფლო საბჭოში, სადაც 292 წყვილი წინდა და 156 წყვილი ხელთათმანი შეაგროვეს. კარდანახის სასოფლო საბჭოში შეგროვებულია 262 წყვილი წინდა და 132 წყვილი ხელთათმანი, გურჯაანის სასოფლო საბჭოში 204 წყვილი წინდა და 191 წყვილი ხელთათმანი. ბევრია შეგროვებული აგრეთვე ვეჯინის, შრომის, კალაურის და სხვა სასოფლო საბჭოებში.

მასობრივად დაიწყო საოჯახო მრეწველობის შეგროვება. გურჯაანის, კარდანახის, ველისციხის, ვეჯინის და სხვა სასოფლო საბჭოების მშრომელებმა დიდძალი ღვინო, არაყი, ჩურჩხელები და სხვა ხილეული შეაგროვეს, რაც ოქტომბრის დღესასწაულისათვის გაეგზავნებათ წითელი არმიის მეომრებს.

შ. მაჭავარიანი

ხაშურელმა კოლმეურნეებმა პირველი პარტია გაუგზავნეს უკრაინის განთავისუფლებულ კოლმეურნეობებს

ხაშური (საქდესი). ასობით სული მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი პირუტყვი გამოჰყვეს ხაშურელმა კოლმეურნეებმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობათა დამხმარე ფონდისათვის. 3 ოქტომბერს ხაშურიდან საბჭოთა უკრაინის განთავისუფლებულ რაიონებში გაიგზავნა პირუტყვის პირველი პარტია. ხაშურის რაიონის 20 კოლმეურნეობამ გაგზავნა ადგილობრივი ჯიშის 50 თხა. განთავისუფლებულ რაიონებში მეცხოველეობის აღდგენის დამხმარე ფონდის შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ცოცხნარის, ულუმბის, კობის, ალისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

ხილის დამზადება, დაკონსერვება და გახმობა

სოხუმი (საქდესი). საქკონსერვტრესტის აფხაზეთის კანტორამ გადამეტებით შეასრულა კურკოვან ნაყოფთა—ალუჩის, ქლიაღის, ატმის დამზადების გეგმა. დამზადებულია 300-დე ტონა, როდესაც გეგმით გათვალისწინებული იყო 240 ტონა. ამჟამად საკოლმეურნეო ბაღებში მიმდინარეობს ვაშლის, მსხლის, ლეღვის, საგვიანო ჯიშის ატმის მასობრივი კრეფა. მარტო ვაშლი და მსხალი დამზადებულია 500-ზე მეტი ტონა—გეგმის 70 პროცენტი. შემდგომში აღებული იქნება ხურმის, სახამთრო მსხლისა და ვაშლის უხვი მოსავალი. მარტო ოქტომბერში კოლმეურნეობები და კოლმეურნეები კონსერვტრესტის ბაზას ჩააბარებენ 300-ზე მეტ ტონა ხილს.

ხილის უმაგალითო მოსავალს იღებენ თავიანთ ბაღებში სოხუმის, გულრიპშისა და გაგრის რაიონთა კოლმეურნეები. გულრიპშის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობამ უკვე ჩაბარა 44 ტონა ვაშლი, ატამი და მსხალი. შავი ქლიავის უხვი მოსავალი მიიღო გაგრის სალმენის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ.

ორგანიზებულად მიმდინარეობს ხილისა და ბოსტნეულის გახმობა. 5-ზე მეტი ტონა გამხმარი მსხალი, შავი ქლიავი, ვაშლი, კარტოფილი, სტაფილო და ჭარხალი დაამზადა ერმოლოვკის სახმობმა ქარხანამ. 3 ტონა ხმელი ხილი გამომიმუშავა სოფელ ესტონკის სახმობმა ქარხანამ, რამდენიმე ტონა—სოხუმის ქარხანამ.

მოამზადეს კვალიფიციური კადრები კოლმეურნეობებისათვის

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დავალებით წალკის რაიმიწგანმა 2,5-თვიან გადასამზადებელ კურსებზე მოამზადა საკოლმეურნეო აღრიცხვის 69 მუშაკი. მათ შორის საკვალიფიკაციო კომისიის მიერ ორმაგი სისტემის ბუხჰალტრის კვალიფიკაცია მიენიჭა 10 მსმენელს, ორმაგი სისტემის მოანგარიშის კვალიფიკაცია—5-ს, მარტივი სისტემით მოანგარიშის კვალიფიკაცია—29 კაცს. დაუსწრებელი საღრიცხვო კურსები დამთავრა—25 კაცმა. კურსებს ხელმძღვანელობდა დოც. პეტრე ლანდია. წალკის რაიმიწგანმა კურსდამთავრებულნი უკვე გაანაწილა კოლმეურნეობებში სამუშაოდ.

ძმური დახმარება განთავისუფლებულ რკინიგზას

ამიერ-კავკასიის რკინიგზის საექიმო-სანიტარულმა სამსახურმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისაგან განთავისუფლებული ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზისათვის გამოჰყო მოძრავი საშხაპო დანადგარი, რომელზეც მოწყობილია მძლავრი ორთქლწარმომქმელი აპარატი, ბოილის სამკურნალო სავარძელი და საექიმო ხელსაწყოთა მთელი კომპლექტი. საექიმო სანიტარული უბნები გზის საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკებისათვის გზავნიან მედიკამენტებს, ქირურგიულ ინსტრუმენტებს და შესახვევ მასალას. (საქდესი).

სამხედრო-საშეფო მუშაობის წარჩინებულნი

ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტმა, ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და ცენტრალურმა სამხედრო-საშეფო კომისიამ წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და შინსახკომის ჯარების კულტურულ-საშეფო მომსახურებაში წარჩინებისათვის საპატიო სიგელით დაჯილდოეს საქართველოს ხელოვნების 250 მუშაკი. დაჯილდოებულთა შორის არიან თბილისის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის და სარაიონო თეატრების მუშაკები, საქფილარმონიის მსახიობები.

ორშაბათს, 18 ოქტომბერს, რუსთაველის თეატრში შესდგება დიდი საღამო, რომელზეც მოსმენილი იქნება მოხსენება სამხედრო-საშეფო მუშაობის შესახებ და დაჯილდოებულთა გადაეცემათ სიგელები. საზეიმო ნაწილის შემდეგ შესდგება დიდი კონცერტი.

საღამოზე დასწრება მისაწვევი ბარათებით.

სიმონ ჩიქოვანის ლექსები

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ რუსულ ენაზე გამოსცა ს. ჩიქოვანის ლექსების კრებული, რომელშიც მოთავსებულია სამამული ომის დღეებში დაწერილი 21 ლექსი. ლექსები რუსულად სთარგმნეს დ. სტრელცოვმა, რ. ივანოვმა, მ. ზენკევიჩმა, ვ. კირეევამ, ვ. ნეიშტადტმა, ნ. ჩიკოიძემ და ა. ადალისმა. წიგნი, რომლის რედაქტორია დ. სტრელცოვი, შეიცავს 46 გვ. და ღირს 3 მან.

საქართველოს მრეწველობის საწარმოებში

○ **ზესტაფონის ლვინის ქარხანასთან ამუშავდა** ახალი საამქრო, სადაც მასობრივად დამზადებენ ჩურჩხელას და ღვინის ძმარს. წელს ამ საამქროს უნდა მოგვაცეს 30 ტონა ჩურჩხელა და რამდენიმე ათასი დეკალიტრი ღვინის ძმარი.

○ **სენტემბრის დასაწყისში** ხაშურელმა რკინიგზელებმა იკისრეს 5 დეკემბრამდე (სტალინური კონსტიტუციის დღე) უსასყიდლოდ შეაკეთონ 30 ნადავლი ვაგონი. 1 ოქტომბრისათვის მათ უკვე შეაკეთეს 25 ვაგონი.

○ **სარეწაო არტელმა „საქმაფმა“** დაიწყო ახალი სახის პროდუქციის გამოშვება. უკვე გამოშვებულია 2.000 კილოგრამი მეკეის ძაფი (ფეხსაცმლის მრეწველობაშია საჭირო) და კუდის ძაფი. არტელი შეუდგა აგრეთვე დარაიის ქსოვილის გამოშვებას.

○ **სოხუმის ხამრეწველო კომბინატის** სპეციალისტმა ინ. ა. მინიუხინმა გამომიმუშავა ჩაის თესლის ნაჭუჭისა და ტუნგოსაგან მდეგი საღებავის მიღების წესი. მიღებული საღებავით შეღებილია ადგილობრივი სატრიკოტაჟო ნაწარმი. საღებავი მაღალი ხარისხისა აღმოჩნდა.

ლურსმნის წარმოება

ტყვარჩელის საქალაქო საბჭოს აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს უახლოეს დროში გამართოს და ათვისებინოს ლურსმნის საკეთებელი საწარმო. ლურსმნის საკეთებლად გამოყენებული იქნება საბაგირო გზის ექსპლოატაციის შედეგად უკვე უთარგისად ცნობილი მავთული, რასაც დღემდე იყენებდნენ როგორც ლითონის ჯართს. საწარმო ყოველთვიურად გამოუშვებს რამდენიმე ტონა სხვადასხვა ზომის ლურსმანს.

საჯარო ბიბლიოთეკაში

18 ოქტომბერს, საღამოს 7 ს. 30 წ., საქ. ხახ. საჯარო ბიბლიოთეკაში (ცეცხოველის ქ. № 5) შესდგება ამბ. **ფრიშენბერგის** ლექცია თემაზე: **„დიდი სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და საერთაშორისო მდგომარეობა“.**

ბილეთების შეძენა შეიძლება ბიბლიოთეკის რეგისტრატურაში. მთელი შემოსავალი მოხმარდება ფრონტელთა ოჯახებს.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ბ. ჯიბლაძე

საერთაშორისო მოვლენა

ომერ-ალ-ბრადლი ინგლისში

ინგლისში ჩამოვიდა ამერიკის ჯარების ინგლისში ბანაკებ-ადგილებზე ინსპექტირებისა და ინგლისელ ოფიცრებთან ურთიერთობის ინსპექტორი ომერ-ალ-ბრადლი. ინგლისელ ოფიცრებს ეტყვიან, ამერიკელ ოფიცრებს ეტყვიან,